ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ГБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
22 მაისი
1940 წ.
№ 116 (5817)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

გავადიდოთ ქვანახშირის ამოღება, გავაუმჯობესოთ ხარისხი (მოწინავე)
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი (1-ლი გვ.)
წითელი არმიის უფშემადგენლობისა და წითელარმიელთა დაჯილდოება (1-ლი გვ.)
სსრ კავშირსა და ინგლისს შორის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ წარმოებული წინასწარი მოლაპარაკების საკითხისათვის — საკდესის ცნობა (მე-2 გვ.)
ნ. ჟვანია — გადაჭრით გავაუმჯობესოთ სკოლის გარეშე დაწესებულებათა მუშაობა (მე-2 გვ.)
ა. ივანოვი — ახალი სოფელი (მე-3 გვ.)
ვალერიან გაფრინდაშვილი—საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ ნანეიშვილს (ლექსი. მე-3 გვ.)
უცხოეთში:
ჩერჩილის სიტყვა (მე-4 გვ.)
საფრანგეთის პრემიერ რეინოს სიტყვა (მე-4 გვ.)
გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა (მე-2 გვერდი)
უკანასკნელი ცნობები (1-ლი გვ.).

გავადიდოთ ქვანახშირის ამოღება, გავაუმჯობესოთ ხარისხი

პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების განმავლობაში საქართველოს ბოლშევიკების მიერ ქვანახშირის მრეწველობაში მოპოვებული წარმატებები თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია. ჩვენი ქვანახშირის მრეწველობა, რომელიც მანამდე კუსტარულ ხასიათს ატარებდა და ქვეყნის სამეურნეო ბალანსშიც თითქმის ვერავითარ ამინდს ვერ ჰქმნიდა, საქართველოს ბოლშევიკების ენერგიული მუშაობით, სახელოვანი სტალინელის ამხ. **ლ. პ. ბერიას** მტკიცე და ოპერატიული ხელმძღვანელობით ერთერთ მოწინავე დარგად გადაიქცა. მარტო ის ფაქტი, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი ტყვარჩელის პრობლემების გადაჭრა და ინდუსტრიულ საქართველოს „ტყვარჩელქვანახშირის“ სახით საშახტო მშენებლობის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული და მოწყობილი წარმოება შეემატა, მჭერმეტყველურად ლაპარაკობს ბოლშევიკებისა და საბჭოთა ხელისუფლების თვალსაჩინო მიღწევებზე ამ დარგში.

ამას თუ იმ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ ტყიბულის ქვანახშირის შახტებში შეტანილ იქნა ახალი ტექნიკა და მექანიზაცია, რომ იქ ამჟამად ორი ახალი მექანიზებული შახტი შენდება, უფრო მეტად თვალსაჩინო გახდება ის მიღწევები, რომელიც ჩვენ ქვანახშირის მრეწველობაში მოგვეპოვება.

საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლას ქვანახშირისათვის ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მიერ დასახული ამოცანა დაედო საფუძვლად. როგორც ცნობილია, ამხანაგმა **სტალინმა** საქართველოს ბოლშევიკებს დაუსახა ამოცანა — უზრუნველჰყონ საქართველოს და ამიერ-კავკასიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადგილობრივი ქვანახშირით, და უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი მაღაროების ყველაზე საპატიო ამოცანას ამ მეტად პასუხსაგები დავალების შესრულება შეადგენს.

თუ პირველ ხანებში ჩვენი ქვანახშირის ტრესტები ვერ ასრულებდნენ ქვანახშირის ამოღების წლიურ დავალებებს, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში „ტყიბულქვანახშირი“ გვაძლევს წლიური გეგმის გადაჭარბებას. 1938 წელს მან წლიური გეგმა 104,3 პროცენტით შეასრულა, ხოლო გასულ წელს მან დავალება მთლიანად შეასრულა, ქვეყანას 310 ათასი ტონა ქვანახშირი მისცა და 1938 წელთან შედარებით ქვანახშირის ამოღება 19 პროცენტით გაადიდა. „ტყვარჩელქვანახშირმაც“, რომელიც მანამდე ყოველწლიურად ჩამორჩებოდა, პირველად 1939 წელს უზრუნველჰყო საწარმოო დავალების შესრულება. გეგმით გათვალისწინებული 220 ათასი ტონის ნაცვლად ამოღებულ იქნა 237.400 ტონა ქვანახშირი, რაც 1938 წელთან შედარებით 43 პროცენტით ზრდას გვიჩვენებს.

ეს მიღწევები მოპოვებულია უპირველეს ყოვლისა იმ შეუნელებელი, ყოველდღიური ყურადღებით, ოპერატიული ხელმძღვანელობითა და პრაქტიკული დახმარებით, რომელსაც უწევდა და უწევს ორივე ტრესტს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის ტრესტების მუშაობა ყოველთვის იდგა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყურადღების ცენტრში, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა საგრძნობი გარდატეხის მოხდენა ქვანახშირის ამოღების საქმეში.

გამოკვლევის შედეგად გამოირკვა, რომ როგორც „ტყვარჩელქვანახშირს“, ისე „ტყიბულქვანახშირს“, მიუხედავად არსებული მიღწევებისა, მოეპოვებათ მთელი რიგი მეტად სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათი მუშაობის შემდგომ წარმატებაზე. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს ორივე ტრესტმა გააუარესა მუშაობა ნახშირის ამოღების მხრივ. „ტყვარჩელქვანახშირმა“ და „ტყიბულქვანახშირმა“ ქვანახშირის ამოღების პირველი კვარტალის გეგმა ვერ შეასრულეს.

მუშაობის გაუარესების მთავარ მიზეზს შეადგენს ტრესტებში სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების დაუშვებელი ჩამორჩენა. გამოდიოდნენ რა გეგმების რაოდენობრივ შესრულებას, ტრესტების ხელმძღვანელებმა დაივიწყეს მოსამზადებელი სამუშაოები — ქვანახშირის მრეწველობაში შემდგომი წარმატებების ეს მთავარი და აუცილებელი პირობა. შემდეგ, ჩამორჩენის მიზეზს წარმოადგენს ციკლურობის, როგორც აგრეთვე წარმატების ერთერთი აუცილებელი პირობის, სუსტად დანერგვა, მექანიზმების არასაკმაოდ გამოყენება, მექანიზმებისადმი არაგულისხმიერი და არაგულშემატკივარი დამოკიდებულება, რის გამო ისინი ხშირად გამოდიან მწყობრიდან.

ასევე დიდ გავლენას ახდენს შრომის დისციპლინის სისუსტე, მუშახელის დენადობა, გამოწვეული კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობით, და საერთოდ სუსტი სამეურნეო-ტექნიკური ხელმძღვანელობა, რასაც განსაკუთრებით ტყვარჩელში აქვს ადგილი. „ტყვარჩელქვანახშირის“ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზები უპირველეს ყოვლისა ტრესტის არასაკმაო სამეურნეო - ტექნიკურ ხელმძღვანელობაში მდგომარეობს. არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე პარტიული ხელმძღვანელობაც.

ერთგვარი მეტნაკლებობით „ტყიბულქვანახშირი“ შედარებით უკეთესად მუშაობს, მაგრამ ძირითადად ის ნაკლი, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, მასაც შეეხება.

ტრესტების ხელმძღვანელობის გადაუდებელ ამოცანას შეადგენს ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ აღმოფხვრა და ხელმძღვანელობაში მტკიცე ბოლშევიკური წესრიგის დამყარება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ თავის უკანასკნელ დადგენილებაში „ტყიბულქვანახშირისა“ და „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტების მუშაობის შესახებ დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც სახავენ გზებს და საშუალებებს ტრესტებში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, ქვანახშირის ამოღების საწარმოო გეგმების შესასრულებლად. „ტყვარჩელქვანახშირის“ და „ტყიბულქვანახშირის“ სამეურნეო, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ეს ღონისძიებები განუხრელად იქნას გატარებული.

ამ საქმეს, უწინარეს ყოვლისა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები უნდა ჩაუდგნენ სათავეში და მტკიცედ შეასრულონ საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის დადგენილება, სადაც ჩაწერილია: „ყრილობა ავალებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს არსებული მექანიზმების სრული გამოყენების, შრომის სწორი ორგანიზაციისა და ქვანახშირის მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის საფუძველზე დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამოღებული ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებას“.

განუხრელად უნდა განვახორციელოთ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანის** მითითება: „ქვანახშირის რაიონების რაიონულმა კომიტეტებმა და ტრესტების ხელმძღვანელებმა გადაჭრით უნდა აღმოფხვრან მოსამზადებელ სამუშაოთა ჩამორჩენა და უზრუნველჰყონ არსებული მექანიზმების მთლიანად გამოყენება. ამასთან ერთად საჭიროა ყოველდღიური ზრუნვა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და სამუშაოზე მათი შენარჩუნებისათვის. ბოლოს უნდა მოეღოს ავარიებს შახტებში და უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლა. მხოლოდ ამ პირობით შესძლებენ ტრესტები „ტყიბულქვანახშირი“ და „ტყვარჩელქვანახშირი“ ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებას.“

ჩაის ფოთლის დამზადება

ჩაის ფოთლის კრეფის ტემპები საქართველოში დღითიდღე ძლიერდება. მაისის პირველ ხუთდღიურში რესპუბლიკაში მოიკრიფა 76,1 ტონა ჩაის ფოთოლი, მეორეში — 466,2, მესამეში — 1177,7 და მეოთხეში — 1858,3 ტონა.

„საქჩაის“ ცნობით, 20 მაისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონებმა შეასრულეს 62,3 პროცენტით, წულუკიძის რაიონმა — 57,6-ით, ტყიბულის — 51,4-ით, სამტრედიის — 50,4-ით, გუდაუთის — 44,3-ით, გეგეჭკორის — 46,1-ით, წალენჯიხის რაიონმა — 42,1 პროცენტით.

ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა მახარაძის რაიონში შესრულებულია 16,3 პროცენტით, ქობულეთის რაიონში — 20,6 პროცენტით, ბათუმის — 29,5-ით, ზუგდიდის — 29,9-ით, ცხაკაიას რაიონში — 31,4 პროცენტით.

20 მაისისათვის სულ რესპუბლიკაში მოკრეფილი იყო 3.578,3 ტონა ჩაის ფოთოლი, მაისის გეგმის 30,1 და წლიური გეგმის 7 პროცენტი.

ხუთთვიური პროგრამა ვადამდე შესრულებული

სუფსა, 21 მაისი (საქდესი). საქართველოს ნავთის ტრესტის სუფსის ნავთსაძიებოს კოლექტივმა, რომელიც უკრაინის ნავთის მუშაკებს ეჯიბრება, დიდ საწარმოო გამარჯვებას მიაღწია ნავთის ამოღების ხუთთვიური პროგრამის ვადამდე შესრულებით. 21 მაისისათვის ხუთთვიური დავალება ნავთის ამოღების ხაზით შესრულებულია 109 პროცენტით. მაისის უკანასკნელ დღეებში დღიური დავალება სისტემატურად 300 პროცენტით სრულდება.

სუფსელებმა ის დიდი ჩამორჩენა, რომელიც პირველ კვარტალში ჰქონდათ, გამოასწორეს სულ მოკლე ხნის განმავლობაში—1½ თვეში.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ბელორუსიის სსრ პავილიონი.

მშობლიურ მიწა-წყალზე

პეტროზავოდსკი, 20 მაისი (საკდესი). დღეს პეტროზავოდსკზე გავლით ქალაქ კემს თავის ამომრჩევლებთან გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ტოივო ანტიკაინენი. პეტროზავოდსკის ვაგზლის პერონზე ამხ. ანტიკაინენს გულთბილად შეეგებნენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეგობრები და ნაცნობები. განსაკუთრებით სასიხარულო იყო ტოივო ანტიკაინენის შეხვედრა თავის მებრძოლ მეგობრებთან—1920 წელს მომხდარი თეთრფინელთა ავანტურის განადგურების მონაწილეებთან.

მრავალი წლის განშორებისა და ბურჟუაზიული ფინეთის ჯურღმულებში ტანჯვის შემდეგ, — ამბობს ამხ. ანტიკაინენი, — დიადი საბჭოთა კავშირის ზრუნვის წყალობით, მე კვლავ მშობლიურ მიწა-წყალზე ვარ. მთელი გზა, მოსკოვიდან პეტროზავოდსკამდე ვაგონის ფანჯარას ვერ მოვშორდი. ჩემ თვალწინ იშლებოდა ბედნიერი საბჭოთა ქვეყნის ქალაქების, სოფლების, მუშათა დაბების ახალ-ახალი ხედები. ყველგან სიხარული, სიცოცხლე, მჩქეფარე და შემოქმედებითი ცხოვრება.

ძნელი ასაწერია ის გრძნობები, რომლებმაც შემიპყრეს, როცა მატარებელი მოკავშირე კარელია-ფინეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოდგა. ვხედავდი სამრეწველო საწარმოთა ახალ ნაგებობებს, სატყეო პუნქტებს, რკინიგზის სადგურებს, ვრცელ საკოლმეურნეო მინდვრებს და მაგონდებოდა ძველი კარელია, რომელიც ამ 20 წლის წინათ მენახა. ვხედავდი, რომ ქვეყანა გარდაქმნილია.

ახლა მივდივარ ჩემს ამომრჩევლებთან — კემის სასოფლო საარჩევნო ოლქის მცხოვრებლებთან. მათ ვუამბობ კაპიტალისტურ სამყაროზე — გაჭირვებისა, ჩაგვრისა და სასტიკი ექსპლოატაციის სამყაროზე, ხოლო ჩემი ამომრჩევლები მიამბობენ თავის ახალ თავისუფალ და საამურ ცხოვრებას საბჭოების ბედნიერ ქვეყანაში, ლენინ-სტალინის ქვეყანაში.

დაიხურა ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

მინსკი, 20 მაისი (საკდესი). დღეს შესდგა ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობის უკანასკნელი სხდომა.

ყრილობის დახურვისას ამხ. პონომარენკომ მოკლე საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა.

— ყრილობამ, — ამბობს ამხ. პონომარენკო, — ერთხელ კიდევ გვიჩვენა ახალი სიძლიერით ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) დარაზმულობა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დიდი ბელადის, ამხანაგ **სტალინის** გარშემო.

ყრილობის დახურვის შემდეგ შესდგა ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. პ. კ. პონომარენკო.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის უფშემადგენლობისა და წითელარმიელებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამ საქმეში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“**.

1. მაიორ ივანე დიომიდეს-ძე **ანტოშკინს**
2. უფროს ლეიტენანტს გრიგოლ კარპის-ძე **ბერეჟოკს**
3. ბრიგადის მეთაურს პეტრე პავლეს-ძე **ბორისოვს**
4. უფროს ლეიტენანტს პავლე ივანეს-ძე **ივანოვსკის**
5. კაპიტან იოსებ ვასილის-ძე **მატრუნჩიკს**
6. უფროს ლეიტენანტს ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე **პეშკოვს**
7. კაპიტან ევგენი მიხეილის-ძე **რუდაკოვს**
8. პოლკოვნიკ გრიგოლ გრიგოლის-ძე **სკვორცოვს**
9. მაიორ სტეფანე პავლეს-ძე **სუპრუნს**
10. უმცროს ლეიტენანტს ვასილ მიხეილის-ძე **იუჟაკოვს**
11. ალექსანდრე ნიკიფორეს-ძე **იაკოვლევს** — პილოტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1940 წ. 20 მაისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის ჯარის ნაწილთა და შენაერთთა სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამ საქმეში გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან:

წითელი დროშის ორდენით

მე-402 მსროლელთა პოლკი
მე-49 ავიაგამანადგურებელთა პოლკი
მე-18 სწრაფ ყუმბარმშენთა საავიაციო პოლკი
მე-21 საკორპუსო საარტილერიო პოლკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1940 წ. 20 მაისი.

წითელი არმიის უფშემადგენლობისა და წითელარმიელთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ა. წ. 20 მაისის ბრძანებულებით ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამ საქმეში გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 3.072 კაცი — წითელი არმიის უფშემადგენლობა და წითელარმიელები:

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია—28 კაცი,
წითელი დროშის ორდენით — 499 კაცი,
წითელი ვარსკვლავის ორდენით—652 კაცი,
მედლით **„მამაცობისათვის“** — 899 კაცი,
მედლით **„საბრძოლო დამსახურებისათვის“** — 994 კაცი.

ყველა დაჯილდოებულის სახელობითი სია ქვეყნდება გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 21 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო დღეს გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის შემდეგს ცნობას: „ყველაზე დიდი ოპერაცია იმ შეტევითს ოპერაციებს შორის, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში დასავლეთში ხდებოდა, ამჟამად, მთელ რიგ დიდ ცალკეულ ტაქტიკურ წარმატებათა შემდეგ, პირველ შედეგებს იძლევა. საფრანგეთის მეცხრე არმია, რომლის ამოცანას წარმოადგენდა კავშირის დამყარება მტრის ძლიერ რაზმებს შორის ბელგიაში და მაჟინოს ხაზზე სედანის სამხრეთით, დამარცხებული და გაფანტულია. არმიის შტაბი და გენერალი ჟირო, რომელიც დღემდე საფრანგეთის მე-7 არმიას სარდლობდა და რომელმაც მე-9 არმიის სარდლობა იკისრა, ტყვედ არიან წამოყვანილი. გერმანიის დივიზიები შევიდნენ იმ ადგილში, რომელიც გერმანიის ჯარის ამ შეტევით იქნა გარღვეული. გერმანიის სატანკო კორპუსებმა და მოტორიზებულმა ჯარმა აიღეს არასი, ამიენი და აბვილი და, ამგვარად, ლა-მანშის სანაპიროსაკენ ახევინებენ საფრანგეთის, ინგლისისა და ბელგიის მთელ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ჯერ კიდევ მდინარე სომის ჩრდილოეთით იმყოფებიან.

ბელგიაში ჩვენი ჯარი უტევს მტერს, რომელიც წინააღმდეგობას გვიწევს გენტის აღმოსავლეთით და შელდის სამხრეთით. მარცხით დამთავრდა მტრის ცდა გასულიყო ვალანსიენის რაიონში სამხრეთისაკენ. როგორც უკვე სპეციალურ ცნობაში იყო გადმოცემული, გერმანიის ჯარმა დაიკავა ლაონის სამხრეთით მდებარე რაიონი და წაიწია ენსა და უაზს შორის მდებარე არხამდე. ჩვენმა ჯარმა უკუაგდო საფრანგეთის კონტრიერიშები და ამ სექტორში მოსპო დიდძალი ტანკები. აღებულია ქალაქი რეტელი, სადაც მტრის რაზმები ჯერ კიდევ გვიწევდნენ წინააღმდეგობას.

ავიაცია ეფექტიურად იღებდა მონაწილეობას გერმანიის არმიის ამ გამარჯვებაში. იგი ჰაერში ინარჩუნებდა ბატონობას, სპობდა მდინარეებზე გადებულ ხიდებსა და სხვა სატრანსპორტო ნაგებობებს, იერიში მიჰქონდა მიმავალ კოლონებზე და ამით მან დააჩქარა საფრანგეთის მეცხრე არმიის დაშლა და ჩანასახშივე ჩაახშო მტრის ყოველგვარი ცდა, რასაც მან დღემდე მიმართა — დამუქრებოდა ჩვენი გარღვევის ფლანგებს.

საფრანგეთის სანაპიროზე სადაზვერვო ფრენის დროს ჩვენმა თვითმფრინავებმა სერიოზულად დააზიანეს საფრანგეთის ერთი ნაღმოსანი, სასხმელი გემი „ნიჯერი“, რომლის წყალწყვა 5.482 ტონას უდრის, საფრანგეთის სატვირთო გემი „პავონი“ და სხვა ორი სატვირთო გემი. 20 მაისს ღამით დუვრსა და კალეს შორის ჩაძირულია ექვსი სატრანსპორტო გემი და ნავთსასხმელი გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 43 ათას ტონას უდრიდა. სხვა გემები კი, რომელთა საერთო წყალწყვა დაახლოებით 13 ათას ტონას უდრის, სერიოზულად იქნა დაზიანებული.

მტრის ავიაციამ გუშინ 47 თვითმფრინავი დაჰკარგა. თავის ბაზებში არ დაბრუნებულა გერმანიის 15 თვითმფრინავი“.

ბერლინი, 21 მაისი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის სპეციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ გერმანიის ჯარმა ლამანშის ნაპირებს მიაღწია. ბელგიისა და საფრანგეთის არმიები მოწყვეტილი არიან ჩრდილო საფრანგეთში. ინგლისის ჯარი, რომელსაც ავიაცია სდევნის, ინგლისში გარბის. ლა-მანშში მოსპობილია მრავალი ტრანსპორტი.

ომი დასავლეთ ევროპაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 21 მაისი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ მტრის დევნა სწარმოებს ბელგიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში. ბელგიელები გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ. ფრანგები მონაწილეობას იღებენ გერმანელთა იერიშებისა და კონტრიერიშების მოგერიებაში. უკანასკნელ დღეებში ინგლისელები თითქმის არ იღებენ მონაწილეობას ბრძოლებში.

ფრანგების ცდა გაერღვიათ ვალანსიენ-მობეჟის რაიონში გერმანელთა ხაზი, რომლებიც ტურნესა და კამბრეს უტევენ, მოგერიებულ იქნა. ხაფანგში მომწყვდეულ მტერს გზა გადავუღობეთ. ფრანგებმა ბრძოლაში 50-ზე მეტი ტანკი დაჰკარგეს. ლაონის მახლობლად მტრის შემოტევა, რაც როგორც სჩანს, იმ მიზნით იყო დაწყებული, რომ დახმარება გაეწია საფრანგეთის ჯარის ნაწილებისათვის ვალანსიენ-მობეჟის რკალის გარღვევაში, მოგერიებულ იქნა.

რეიმსის ჩრდილოეთით, მდინარე ენზე გერმანიის დიდი ძალები განაგრძობენ წინსვლას.

ბელგიაში გერმანიის არმიის ჩრდილოეთის ფლანგი, რომელმაც შელდის ზედა წელს მიაღწია, წააწყდა უაღრესად თანამედროვე გამაგრებულ პუნქტს — გენტს, რომელიც მდებარეობს ბელგიის სანაპიროზე ოსტენდედან 60 კილომეტრ საჰაერო გზის მანძილზე.

ლიეჟისა და ნამიურის დაცემის შემდეგ ბელგიაში დაეცა უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტები გერმანიის წინმიმავალი ფრონტის ზურგში.

მოკავშირეთა ცნობები

ლონდონი, 20 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ სედანსა და მობეჟს შორის გერმანელთა მიერ გარღვეული ხაზი რამდენადმე გაფართოვდა, მაგრამ, როგორც სჩანს, არ გაღრმავებულა. ამ რაიონის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში ზოგიერთ უბანზე გერმანიის რაზმები იმყოფებიან ფრანგების განლაგების ზურგს უკან, ხოლო სხვა უბნებზე ფრანგები იმყოფებიან გერმანელთა პოზიციების ზურგს უკან. ფრანგები შეუპოვრად ახდენენ გერმანელების მიერ ხაზის გარღვევათა ლიკვიდაციას. ინგლისის ჯარი გეგმის შესაბამისად იხევს უკან.

პარიზი, 21 მაისი (საკდესი). გუშინ საღამოს გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია: „გერმანიის შემოტევა სენ-კანტენის ჩრდილოეთითა და დასავლეთით წინანდებურად ძლიერია. მტრის ახალი იერიშები მოგერიებულ იქნა მონმედის რაიონში. დანარჩენ ფრონტზე მნიშვნელოვანი რამ არაფერი მომხდარა.

დღის განმავლობაში ჩვენი ავიაცია დიდ აქტივობას იჩენდა. გერმანიის კოლონებს დააყარეს დიდძალი ყუმბარები, რაც აჩერებდა მტრის წინსვლას და დიდ ზარალს აყენებდა მას“.

ლონდონი, 21 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო პარიზიდან იუწყება, საფრანგეთის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გუშინ გერმანელთა ძირითადი იერიში მიმართული იყო დასავლეთისაკენ, როგორც სჩანს იმ მიზნით, რომ გაეკაფათ გზა ზღვისაკენ. საფრანგეთის ჯარი ჯერ კიდევ მტკიცედ ინარჩუნებდა კამბრესა და ლაონს. დიდი ბრძოლა სწარმოებდა პერონის საზღვრებს გადაღმა სენ-კანტენისაკენ მიმავალი გზის გასწვრივ.

საფრანგეთში მყოფი ინგლისის არმიის სარდლობის ცნობის თანახმად, 20 მაისის განმავლობაში მოკავშირეთა ჯარებმა მოიგერიეს გერმანიის ჯავშანსატანკო ნაწილების იერიშები მდინარე სკარპის სამხრეთით მდებარე რაიონსა და შელდის რაიონში.

საფრანგეთის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლის განცხადება

ლონდონი, 21 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს პარიზელი კორესპონდენტი გადმოგვცემს საფრანგეთის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლის განცხადებას. ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის ჯარმა დასტოვა ქალაქი ლაონი, რომელიც გერმანელებმა უბრძოლველად დაიკავეს. მტრის ცდა გადაელახა მდინარე ენი, აგრეთვე მტრის იერიშები მონმედის რაიონში მოგერიებულია.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 21 მაისი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით 19 მაისს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები ნავთსახდელ ქარხნებს ჩრდილოეთ გერმანიაში, აგრეთვე სადგურებს, ხიდებსა და მატარებლებს ბრიუსელის სამხრეთით. ჩამოგდებულია მტრის 30 თვითმფრინავი. თავის ბაზებში არ დაბრუნებულა ინგლისის 14 თვითმფრინავი.

საომარი მოქმედება დასავლეთის ფრონტზე

ლონდონი, 21 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის ჯავშანსატანკო ნაწილები ყუმბარმშენთა დიდი შენაერთების დახმარებით ცდილობენ გააფართოონ და გააღრმაონ გარღვევის რაიონი საფრანგეთის ტერიტორიაზე. მაგრამ მოკავშირეთა ჯარები მას გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევენ. ისინი სასწრაფოდ აგებენ ბარიკადებს, რისთვისაც იყენებენ ფურნებს, ავტომობილებს, სატვირთო მანქანებს, ხეებს, რელსებსა და ყოველივე იმას, რასაც შეუძლია ეფექტიურად შეუშალოს ხელი გერმანიის ჯარის წინსვლას. მოწინავე პოზიციებზე განუწყვეტლივ მიაქვთ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები. საფრანგეთის სანაპიროზე მთელი დღე-ღამის განმავლობაში ხდება ინგლისის ჯარის გადასხმა, რომელიც შემდეგ ფრონტზე იგზავნება. ამავე დროს ინგლისის ავიაგამანადგურებლები თავს ესხმიან გერმანიის ყუმბარმშენთა დიდ შენაერთებს.

ამგვარად შესაძლებელი გახდა გერმანიის ჯარის წინსვლის შენელება. რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, რომ ცალკეული ბრძოლების დროს ჰაერში ძალთა თანაფარდობა ასეთია: 4:1 გერმანელთა სასარგებლოდ.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ სწერს, რომ განსაკუთრებით სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს გერმანიის გეგმა—გაიჭრას სანაპიროსაკენ და ამგვარად საფრანგეთის ჯარს მოსწყვიტოს ინგლისის ჯარი, რომელიც ბელგიის საზღვარზე მოქმედებს.

პარიზის გაზეთები ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ

პარიზი, 21 მაისი (საკდესი). სამხედრო მეთვალყურეებს საფრანგეთის სამხედრო მდგომარეობა ძალიან სერიოზულად მიაჩნიათ. გენერალი ბრეკალი გაზეთ „ეურ-ეკო დე პარიში“ სწერს, რომ გერმანელებს „სურთ, რადაც უნდა დაუჯდეთ, ორ ნაწილად გაჰყონ მოკავშირეთა არმია. ისინი თავიანთ შეტევას განაგრძობდნენ ორი მიმართულებით: ჯერ ერთი, ავენ-ლანდრესი-ლე კატოს მიმართულებით, და მეორე, ვერვენ-გიუიზ-სენ - კანტენის მიმართულებით, მაგრამ ვფიქრობ, რომ მეორე მიმართულებით გერმანიის იერიშები რამდენადმე შენელდა“.

იმავე გაზეთის მეორე სამხედრო მეთვალყურე სწერს: „როგორც სჩანს, გერმანიის გენერალური შტაბი მთავარ ძალებს თავს უყრის მობეჟის სამხრეთით მდებარე რაიონში, განსაკუთრებით ლანდრესში, რიბმონში ლა ფერამდე და სამბრუაზის მთელი არხის გასწვრივ. ამ ვრცელ მიდამოზე მისი შეტევის მიზანს წარმოადგენს ხელთ იგდოს მდინარე სომის რაიონი ჯერ სენ-კანტენზე გავლით, ხოლო შემდეგ პერონზე გავლით. ამ რაიონში ბრძოლა ერთი წუთითაც არ ნელდება. როგორც სჩანს, გერმანელები ცდილობენ გაარღვიონ ჩვენი წინააღმდეგობის ხაზები, რომლებიც მხოლოდ გაუმაგრებელი მდინარეებისაგან შესდგება. მაგრამ ამ ხაზებს იცავენ ჩვენი მოძრავი და მძლავრი ჯავშანსატანკო დივიზიები და არტილერია. გერმანელთა ტაქტიკა ნათელია: იშოვონ გასასვლელი და გავიდნენ ზღვაზე, რომელსაც ისინი დაახლოებით ასი კილომეტრით არიან დაშორებულნი, და, გარდა ამისა, ხელთ იგდონ ჩვენი ქვანახშირის ბასეინის სიმდიდრე“.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 20 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურომ 20 მაისს გამოაქვეყნა უმაღლესი მთავარ სარდლის ბანაკის შემდეგი ცნობა:

„ბელგიაში გრძელდება დევნა მოწინააღმდეგის საარიერგარდო ნაწილებისა, რომლებიც ბრძოლით იხევენ უკან. გერმანიის ჯარმა გადალახა მდინარე დანდრი, დაედევნა მოწინააღმდეგეს და ზედა შელდას მიაღწია.

ინგლისის ჯარი დაჩქარებული მარშით მიდის ლა-მანშის ნაპირზე მდებარე ნავსადგურების მიმართულებით. მობეჟთან, აგრეთვე ვალანსიენის სამხრეთით მოგერიებულ იქნა იერიშები საფრანგეთ-ბელგიის არმიისა, რომელიც ამ რაიონში ცდილობს გზა გაიკაფოს სამხრეთისაკენ. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა, განსაკუთრებით ჯავშანსატანკო ნაწილებს, და დასავლეთისაკენ იხევს, გარღვევის განხორციელების ამაო ცდის შემდეგ სასტიკად დამარცხებული. ვალანსიენის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანიის სატანკო და მოტორიზებულმა შენაერთებმა დაიკავეს მდინარე სომის რაიონი (1916 წლის ბრძოლის ველი) კამბრე-პერონისაკენ მიმავალ გზაზე. გერმანიის ყუმბარმშენების, მოპიკირე ყუმბარმშენებისა და ავიაგამანადგურებლების შენაერთებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის კოლონაზე, რომელიც ლაონიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა, და აიძულეს იგი უკან გაბრუნებულიყო. ამჟამად გერმანელთა ხელშია ლიეჟის ფორტების მთელი შიდა ზოლი, აგრეთვე ქალაქ ნამიურის ყველა ფორტი.

19 მაისს გერმანიის ავიაციამ გააძლიერა მოწინააღმდეგის ზურგის კომუნიკაციებისა და უკან დასახევი გზების იერიში ჩრდილოეთ საფრანგეთსა და ბელგიაში. გრძელდება წარმატებითი თავდასხმა მოწინააღმდეგის აეროდრომებზე.

საფრანგეთ-ბელგიის სანაპიროსთან საბრძოლო ზვერვის დროს განადგურებულ იქნა მოწინააღმდეგის ორი საესკადრო ნაღმოსანი. გარდა ამისა, დიდად დაზიანდა ერთი საესკადრო ნაღმოსანი, საფრანგეთის სატორპედო ნავი „ინკომპრიზი“ და სამი სავაჭრო გემი, რომელთა წყალწყვა დაახლოებით 15.000 ტონას შეადგენს.

გუშინდელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 143 თვითმფრინავი, აქედან საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულ იქნა 95 თვითმფრინავი, საზენიტო არტილერიით — 15, ხოლო დანარჩენი განადგურებულია მიწაზე. გერმანიის 31 თვითმფრინავი თავიანთ ბაზებში არ დაბრუნებულა.

19 მაისს ღამით ინგლისის თვითმფრინავები კვლავ უწესრიგოდ უშენდნენ ყუმბარებს დასავლეთ გერმანიას, ამასთან ბომბარდირების დროს მოკლული და დაჭრილია რამდენიმე მოსახლე. ერთადერთი სამხედრო ობიექტი, რომელსაც ინგლისელებმა ყუმბარები დაუშინეს, არის სამხედრო ტყვეთა ბანაკი, სადაც რამდენიმე კაცია მოკლული“.

ომი დასავლეთ ევროპაში

საომარი მოქმედების დღიური

20 მაისი

მეომარ მხარეთა შტაბების ცნობებისა და უცხოეთის პრესის ინფორმაციის თანახმად, მდგომარეობა ფრონტებზე 20 მაისისათვის შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ჰოლანდიაში გერმანიის ჯარი, რომელიც ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე გამოვიდა და გამაგრდა, უზრუნველჰყოფს ბელგიაში მოქმედი თავისი ჯარის ნაწილების მარჯვენა ფრთას. გერმანიის მოტომექანიზებულმა შენაერთებმა, დასძლიეს რა მოკავშირეთა ჯარების მედგარი წინააღმდეგობა ანტვერპენის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში, მდინარე დანდრი გადალახეს, მდინარე შელდას მიაღწიეს და მოკავშირეთა ჯარების შევიწროებას განაგრძობენ. ინგლისის ჯარი დაჩქარებით იხევს ლა-მანშის ნავსადგურებისაკენ.

ბრიუსელის სამხრეთ - დასავლეთით მდებარე რაიონში მოკავშირეთა სატანკო შენაერთები ცდილობდნენ კონტრიერიში მიეტანათ გერმანიის ჯარის ნაწილებზე, მაგრამ უშედეგოდ. კონტრშეტევის მოგერიებაში მონაწილეობას იღებდა გერმანიის საზენიტო არტილერია (ალბათ, საარტილერიო ქვემეხის კომბინირებული სისტემა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საჰაერო და სახმელეთო ობიექტების წინააღმდეგ). მოსპობილია მოკავშირეთა 20-მდე ტანკი. გერმანიის ჯარის ნაწილების ზურგში ლიეჟისა და ნამიურის ცალკეული ფორტები მედგარი წინააღმდეგობის გაწევას განაგრძობენ. ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგან ამ პუნქტებზე გადის ფრონტისაკენ მიმავალი ყველა უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო ხაზი.

ჩრდილოეთ საფრანგეთში გერმანიის მოტომექანიზებული შენაერთები (ინგლისელთა ცნობებით — 5 დივიზიამდე) ჩრდილოეთ-დასავლეთი მიმართულებით განაგრძობენ გარღვევის განვითარებას. მედგარი ბრძოლა სწარმოებს ლე კატო-ლაფერის ფრონტზე. ამ ფრონტის ზოგიერთ უბანში გერმანიისა და საფრანგეთის რაზმები ისე შეერივნენ ერთმანეთს, რომ ერთი მეორის ზურგში მოქმედობენ. ვალანსიენის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანიის სატანკო და მოტორიზებული შენაერთები, ავიაციისა და არტილერიის დახმარებით, კამბრე-პერონის გზაზე გამოვიდნენ. ამ მიმართულებით გერმანიის ჯარის შემდგომი წარმატებითი მოქმედება, რასაც იგი სანაპიროზე გამოჰყავს, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოკავშირეთა იმ ჯარებს, რომლებიც ბელგიაში მოქმედებენ. თვითონ მოკავშირენი იძულებული არიან აღიარონ ამ უბანზე შექმნილი მდგომარეობის სერიოზულობა.

მონმედის რაიონში (სედანის სამხრეთ-აღმოსავლეთით) გერმანიის ჯარის იერიშები მოგერიებულ იქნა. ჩაშლილ იქნა აგრეთვე გერმანელთა ცდა გადაელახათ რეტელის მიდამოებში მდინარე ენი. მეტად სიმპტომატურია საფრანგეთის სარდლობის ღონისძიებანი საფრანგეთის აღმოსავლეთ საზღვრებზე. ელზასში აფეთქებულია არხების ყველა ხიდი, აგრეთვე ხიდები სან-ლუიბაზელის რკინიგზისა, რომელიც საფრანგეთს შვეიცარიასთან აკავშირებს.

მოკავშირეთა ავიაციის ბომბარდირებით დანგრეულია მდინარე მაასის ხიდები ნამიურთან და დინანთან. ინგლისის ავიაციის მოქმედებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ყველა თავდასხმა გერმანიის ქალაქებზე 18 და 19 მაისის განმავლობაში მხოლოდ ღამით ხდებოდა.

გერმანიის ავიაცია სახმელეთო ჯართან ერთად მოქმედებდა ბელგია-საფრანგეთის ტერიტორიაზე მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის წინააღმდეგ.

პარტიული ცხოვრება

მზრუნველობით გამოვზარდოთ ახალი კადრები

ლენინ-სტალინის დიადი პარტია მუდამ მზრუნველობით და გულისხმიერად ეპყრობოდა კადრების შერჩევას, აღზრდასა და მათს დაწინაურებას.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე თავის ბრძნულ მოხსენებაში ამხანაგი სტალინი მიგვითითებდა: „მზრუნველობით აღვზარდოთ კადრები, გულდასმით შევისწავლოთ მუშაკების ღირსებანი და ნაკლოვანებანი, უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ახალგაზრდა მუშაკები, კადრების შერჩევის და განაწილების საქმე შევუფარდოთ პარტიის პოლიტიკური ხაზის მოთხოვნებს“.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიურ საბრძოლო პროგრამად გადაიქცა ახალგაზრდა კადრების აღზრდისა და გამობრძმედის საქმე. რაიკომი დაუღალავად მუშაობს კადრებთან მათი აღზრდისა და შესაფერის სამუშაოზე გამოყენებისათვის. კადრების შესწავლა სწარმოებს მათ მიერ პრაქტიკულად შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომი, რომელიც ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს საქ. კ. პ. (ბ) მე-18 ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებებით და პირადად ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებებით, მზრუნველობით ეკიდება ახალგაზრდა კადრების შერჩევისა და მათი გაბედულად დაწინაურების საქმეს. რაიონულ კომიტეტში კადრების განყოფილების შექმნისთანავე შერჩეულ და დამტკიცებულ იქნენ რაიკომის აპარატის მუშაკები. კადრების განყოფილების 4 ინსტრუქტორი განაწილებულია კადრების სამუშაო დარგების მიხედვით: პარტიული, კომკავშირული და ბეჭდვითი სიტყვის კადრები, საბჭოთა, ადმინისტრატიული, განათლების, სავაჭრო და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების, სამიწათმოქმედო დარგის და საწარმოო-ტექნიკური დარგის კადრები. სულ რაიკომის ნომენკლატურაში დღეისათვის ითვლება 567 კაცი.

რაიკომის კადრების განყოფილების ინსტრუქტორები გოცაძე, ცარციძე, სხილაძე და ლაბუჩიძე ენერგიულად მუშაობენ კადრებთან, პერიოდულად ატარებენ მათთან თათბირებს, თვითეულ მათგანს შედგენილი აქვს სამუშაო გეგმა, რის საფუძველზე ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან მათ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში და დაკისრებული სამუშაოს შესრულებისათვის ბრძოლაში.

ინსტრუქტორი ა. გოცაძე მუშაობს პარტიული, კომკავშირული და ბეჭდვითი სიტყვის დარგის კადრებთან, ითვლება ერთერთ გამოცდილ მომუშავედ ამ დარგში. მან შესძლო შეესწავლა თავის ზონაში შემავალი კადრები, რის შედეგადაც ბევრი ამხანაგის დაწინაურების საკითხი დააყენა რაიკომის წინაშე.

ყველა ქარხანა-მაღაროში, მსხვილ დაწესებულებაში და სასოფლო საბჭოში შექმნილია სარეზერვო ჯგუფები, რომლებთანაც სერიოზული მუშაობა ტარდება.

რაიკომში კადრების განყოფილების შექმნის შემდეგ გაიზარდა და პარტიულ, კომკავშირულ და ბეჭდვითი სიტყვის სამუშაოზე დაწინაურებულ იქნა ახალი კადრები — 35 კაცი, საბჭოთა, ადმინისტრატიულ, განათლების, სავაჭრო და ნებაყოფლობითი ორგანიზაციათა ხელმძღვანელ ორგანოებში — 31 კაცი, სამიწათმოქმედო და სასოფლო-სამეურნეო ხელმძღვანელ სამუშაოზე — 27 კაცი, საწარმოო-ტექნიკურ და სხვა სამეურნეო სამუშაოზე — 9 კაცი. სულ საპასუხისმგებლო სამუშაოზე დაწინაურებულია 92 ამხანაგი, დაწინაურებულთა შორის 9 ქალია.

ახლად დაწინაურებულთა შორის მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან: დარო კაპანაძე (საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის ინსტრუქტორი), უ. კუპატაძე (ვოროშილოვის სახელობის ქარხანა-მაღაროს პარტბიუროს მდივანი), გ. ბიწაძე (სტალინის სახელობის ქარხანა-მაღაროს პარტბიუროს მდივანი), ვ. ტალახაძე (შინსახკომის ჭიათურის განყოფილების პარტორგი), მ. გაბაძე (სოფ. ზოდის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ პარტორგი), ლ. მახათაძე (სოფ. ითხვისის კოლმეურნეობის პარტორგი), ვ. გურული (წირქვალის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე), ა. ბლიაძე (ს. მანდეეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე), ძ. გაფრინდაშვილი (პერევისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე), ვ. პაპიძე (ქვედა უსახელოს წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ი. კავთელაძე (ს. რგანის კამოს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ა. გვანცელაძე (ვოროშილოვის სახელობის ქარხანა-მაღაროს მთავარი ინჟინერი), გ. კეკენაძე (ლენინის სახელობის ქარხანა-მაღაროს მთავარი ინჟინერი), ნადია ოყრომშიძე (ლენინის სახელობის მაღაროს უბნის გამგე), შ. ხვედელიძე, ა. ნოზაძე, ორდენოსანი მასწავლებელი ბაბო ჯალაღანია და სხვები.

კადრებთან მუშაობა და მათი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის საქმე რაიკომისა, რაიკომის ინსტრუქტორებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთაგან მოითხოვს კიდევ უფრო ენერგიულ მუშაობას, მეტ მზრუნველობას, გულისხმიერ დამოკიდებულებას თვითეული მუშაკისადმი, საფუძვლიან ხელმძღვანელობას და დახმარებას მიცემულ დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებაში.

სტალინის სახელობის მაღაროში პარტიის წევრი ინჟინერი ვარდენ ხვედელიძე მე-5 უბნის გამგედ დააწინაურეს. იგი ცუდად მუშაობდა. მისი უბანი ხშირად ჩამორჩენილი იყო. ხვედელიძე მეექვსე უბნის გამგედ გადაიყვანეს, რითაც უფრო შეფერხდა უბნის მუშაობა. ასევე შეიძლება ითქვას მეორე უბნის სახალხო მოსამართლის კ. ჯაჯანიძის შესახებ, რომელმაც სრულიად ვერ შექმნა ავტორიტეტი, ვერ გაართვა თავი დაკისრებულ საქმეს, იგი განთავისუფლებულ იქნა ამ სამუშაოდან.

რაიკომის კადრების განყოფილებას და მის ინსტრუქტორებს უფრო მეტი მუშაობა მართებთ რაიკომის სანომენკლატურო მუშაკებსა და სარეზერვო ჯგუფებს შორის იმისათვის, რომ აღზარდონ და გამოაწრთონ ისინი პარტიისა და მთავრობის დირექტივების გატარებისათვის ბრძოლაში. რაიონული კომიტეტი მომავალში განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალების დაწინაურების საქმეს, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავზარდოთ ჩვენი ბოლშევიკური კადრების რიგები სოციალიზმის აქტიურ მშენებელ ქალთა რიცხვიდან.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის ამოცანაა კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა დასაწინაურებელ კადრებთან და დაეხმაროს მათ პრაქტიკულ სამუშაოზე გამოსაწრთობად.

ს. მიქიაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ლენინის სახელობის ინსტიტუტი. მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტში მეცადინეობის საათებში.

ფოტო ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

სსრ კავშირსა და ინგლისს შორის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ წარმოებული წინასწარი მოლაპარაკების საკითხისათვის

საკდესის ცნობა

უცხოეთის პრესაში დაიბეჭდა არასწორი ცნობები, რომლებიც ამახინჯებენ საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის სავაჭრო ურთიერთობის საკითხზე წარმოებული წინასწარი მოლაპარაკების მიმდინარეობასა და ხასიათს.

ამასთან დაკავშირებით, საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი:

1. ჯერ კიდევ 1939 წლის შემოდგომაზე ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ჰალიფაქსმა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ლონდონში ამხ. მაისკის აცნობა, რომ ინგლისის მთავრობას სურს დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირის მთავრობასთან სავაჭრო შეთანხმების საკითხზე.

ამის საპასუხოდ საბჭოთა მთავრობამ გამოსთქვა პრინციპული თანხმობა სავაჭრო მოლაპარაკების წარმოებაზე.

მაგრამ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებსაც ინგლისის მთავრობამ მიმართა სსრ კავშირთან ვაჭრობის შესამცირებლად და შესაზღუდავად (საბჭოთა კავშირის მიერ მოწყობილობაზე მიცემული შეკვეთების ანულირება), სსრ კავშირისათვის დანიშნული საქონლით დატვირთული საბჭოთა სავაჭრო გემების დაკავებას, იმ მტრულ პოზიციას, რომელსაც ინგლისის მთავრობა დაადგა სსრ კავშირის მიმართ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მომხდარი კონფლიქტის დროს, აგრეთვე ინგლისის მთავრობის ხელმძღვანელ როლს ერთა ლიგიდან სსრ კავშირის გარიცხვის დროს,—ყოველივე ამას არ შეეძლო ხელი შეეწყო ამ მოლაპარაკების დამაკმაყოფილებლად განვითარებისათვის.

2. სსრ კავშირსა და ფინეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ, 1940 წლის 18 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბ-ნმა ბატლერმა ინგლისის მთავრობის სახელით კვლავ მიმართა ამხ. მაისკის წინადადებით სავაჭრო მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

ამაზე სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. მაისკიმ 27 მარტს აცნობა ბ-ნ ჰალიფაქსს, რომ საბჭოთა მთავრობა დასთანხმდებოდა სავაჭრო მოლაპარაკებაზე, თუ ინგლისის მთავრობა გამოიჩენდა ნამდვილ მზადყოფნას ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის საკითხების კეთილსასურველად გადაჭრისათვის და, კერძოდ, თუ მოლაპარაკების დაწყებამდე გაათავისუფლებდა ინგლისის ხელისუფალთა მიერ დაკავებულ საბჭოთა გემებს „სელენგას“ და „მაიაკოვსკის“.

19 აპრილს ბ-ნმა ჰალიფაქსმა ამხ. მაისკის გადასცა პასუხი ინგლისის მთავრობისა, რომელშიც უკანასკნელმა იმის სურვილთან ერთად, რომ გაეგო საბჭოთა მთავრობის კონკრეტული წინადადებანი სავაჭრო შეთანხმების შესახებ, წამოაყენა გარანტიების მოთხოვნა, რომ საქონელი, რომელიც საბჭოთა კავშირს საზღვარგარეთიდან შემოაქვს, განკუთვნილი იყოს არა გერმანიისათვის, არამედ თვით სსრ კავშირში მოსახმარებლად. გარდა ამისა, ინგლისის მთავრობამ სსრ კავშირსა და ინგლისს შორის სავაჭრო შეთანხმების დადების საკითხი დაუკავშირა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის სავაჭრო ურთიერთობის შეზღუდვას.

ა. წ. 29 აპრილს ამხ. მაისკიმ ბ-ნ ჰალიფაქსს აცნობა საბჭოთა მთავრობის პასუხი ინგლისის მთავრობის წინადადებაზე.

ამ პასუხის ძირითადი შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

ა) სსრ კავშირი, როგორც ნეიტრალური ქვეყანა, ვაჭრობდა და მომავალშიაც ივაჭრებს როგორც მეომარ, ისე ნეიტრალურ ქვეყნებთან, საქონლის გატანისა და შემოტანის საკუთარ მოთხოვნილებათა საფუძველზე.

ბ) გერმანიასთან საბჭოთა კავშირს აქვს სავაჭრო შეთანხმება, რომელსაც სსრ კავშირი ასრულებს და შეასრულებს, ამასთან მას დაუშვებლად მიაჩნია გახადოს იგი მესამე ქვეყნებთან მოლაპარაკების საგნად, ისევე როგორც სსრ კავშირი არ ფიქრობს ინგლისის მიერ სხვა ქვეყნებთან დადებული სავაჭრო შეთანხმებათა საკითხი გახადოს ამ ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკების საგნად.

გ) საბჭოთა მთავრობა თანახმაა აღადგინოს ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობანი ურთიერთგაგების საფუძვლებზე და რამდენადაც ასეთი შეთანხმება არ მოითხოვს თვითეული მხარის მიერ სხვა ქვეყნების მიმართ ნაკისრ სავაჭრო ვალდებულებათა დარღვევას. ამასთან, საბჭოთა მთავრობას მხედველობაში აქვს მოლაპარაკება ისეთი სავაჭრო შეთანხმების შესახებ, რომლის მიხედვითაც სსრ კავშირი უზრუნველჰყოფს საქონლის შემოტანას ინგლისიდან თავისი საჭიროებისათვის და არა სხვა ქვეყნებში გასატანად.

დ) ინგლისის ხელისუფალთა მიერ დაკავებული საბჭოთა გემების „სელენგას“ და „მაიაკოვსკის“ განთავისუფლება საუკეთესო პირობა იქნებოდა მოლაპარაკების დასაწყებად და სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.

3. ა. წ. 8 მაისს ბ-ნ ჰალიფაქსმა ამხ. მაისკის გადასცა მემორანდუმი, რომელიც შეიცავს ინგლისის მთავრობის თვალსაზრისს საბჭოთა მთავრობის ა. წ. 29 აპრილის პასუხზე. თავის მემორანდუმში ინგლისის მთავრობამ, სავაჭრო მოლაპარაკების საკითხზე კონკრეტულ წინადადებათა წამოყენების ნაცვლად, წამოაყენა მთელი რიგი ახალი საკითხები სსრ კავშირისა და გერმანიის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ. ასეთი საკითხების რიცხვს ეკუთვნის: სსრ კავშირსა და გერმანიას შორის დადებულ სავაჭრო შეთანხმებათა შინაარსი, სსრ კავშირიდან გერმანიისათვის საქონლის მიწოდების რაოდენობა და ვადები, სსრ კავშირიდან გერმანიისათვის სამხედრო მასალების მიწოდებისა და სსრ კავშირის მეშვეობით გერმანიაში ტრანზიტად საქონლის გატანის შეზღუდვისა და კონტროლის შესაძლებლობანი, ინგლისიდან სსრ კავშირში შემოტანილი საქონლის გამოყენების კონტროლის საშუალებათა განსაზღვრა, სსრ კავშირისათვის ბაზრის მიცემა საბჭოთა იმ საქონლის გასასაღებლად, რომელიც გერმანიაში მიდის, და სხვ.

სსრ კავშირში მოხმარებისათვის განკუთვნილი საქონლით დატვირთული ორი საბჭოთა გემის „სელენგასა“ და „მაიაკოვსკის“ საკითხზე, რომლებიც დაკავებულია ინგლისის ხელისუფალთა მიერ, ინგლისის მთავრობა არსებითი პასუხის გაცემის ნაცვლად, დაკმაყოფილდა ფორმალური მითითებით იმაზე, რომ გემები საფრანგეთის მთავრობას გადაეცა და წინადადება მისცა საბჭოთა მთავრობას დასდოს შეთანხმება კონტრაბანდაზე კონტროლის შემოღების შესახებ.

მემორანდუმში ბ-ნ ჰალიფაქსმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობას სურს ინგლისისა და სსრ კავშირის სავაჭრო ურთიერთობა დაუქვემდებაროს იმ ომის ამოცანებს, რომელსაც ინგლისი აწარმოებს.

4. ა. წ. 20 მაისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მოლოტოვმა გაგზავნა საბჭოთა მთავრობის პასუხი ბ-ნ ჰალიფაქსის ამა წლის 8 მაისის მემორანდუმზე.

საბჭოთა მთავრობამ თავის პასუხში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია სსრ კავშირის სავაჭრო პოლიტიკა დაუქვემდებაროს ამა თუ იმ უცხო სახელმწიფოს საომარ ამოცანებს.

საბჭოთა კავშირი, როგორც სუვერენული სახელმწიფო, აწარმოებს თავის საგარეო ვაჭრობას როგორც მეომარ, ისე ნეიტრალურ ქვეყნებთან მხარეთა სრული თანასწორობის პრინციპებისა და ურთიერთ ვალდებულებათა მიხედვით.

ბ-ნ ჰალიფაქსის ა. წ. 8 მაისის მემორანდუმში აღნიშნული ახალი საკითხები სსრ კავშირსა და გერმანიას შორის ვაჭრობის შესახებ მთლიანად და სავსებით ეკუთვნის საბჭოთა მთავრობის კომპეტენციას და არ შეიძლება გახდეს მსჯელობის საგნად სსრ კავშირსა და ინგლისის შორის სავაჭრო მოლაპარაკების დროს.

რაც შეეხება ინგლისიდან იმპორტს, საბჭოთა მთავრობამ უკვე განაცხადა ა. წ. 29 აპრილს, რომ მას განზრახვა აქვს შემოჰქონდეს ინგლისიდან საქონელი თავისი საჭიროებისათვის და არა სხვა ქვეყნებში გასატანად.

ინგლისის მთავრობის განმარტებანი საბჭოთა გემების „სელენგასა“ და „მაიაკოვსკის“ დაკავების შესახებ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას დამაჯერებლად და საბჭოთა მთავრობა ხსენებული გემების დაკავებისათვის პასუხისმგებლად სთვლის ინგლისის მთავრობას.

საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ თვით ის ფაქტი, რომ ინგლისის მთავრობამ განსახილველად წამოაყენა ისეთი საკითხები, რომლებიც მხოლოდდამხოლოდ საბჭოთა მთავრობის კომპეტენციაში შედის, —არ მოწმობს იმას, რომ ინგლისის მთავრობას ჰქონდეს სურვილი აწარმოოს სავაჭრო მოლაპარაკება სსრ კავშირთან.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხულია ირაკლი სოლომონის-ძე **ლოლაშვილი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 2845363 — კონტრრევოლუციური ლაყბობისა და საყოფაცხოვრებო გახრწნილებისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1) აკაკი იოსების-ძე **ქავთარაძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0708324 — ქურდობისათვის. 2) ივანე ტიმოთეს-ძე **ვერეტინი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1506149 — გაფლანგვისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის. 3) ბაგრატ დანილის-ძე **ტონაკანიანი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1680323 — ავტომანქანის ავარიისათვის. 4) ლუკა იასონის-ძე **გოქსაძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0930640 — გაფლანგვისათვის. 5) ზაქარია დიმიტრის-ძე **კაკაშვილი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1929 წლიდან, პარტბილეთი № 1505357 — ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის. 6) აფშარლი ისმაილ **ალიევი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1933 წლიდან, პარტბილეთი № 2843878 — სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის. 7) მამედ აბასოღლი **აბდულაევი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2847179 — სისხლის სამართლის დანაშაულისათვის 8) ერვანდ ასატურის-ძე **მირზოევი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1526406 — კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისათვის. 9) პეტრე ალექსანდრეს-ძე **დემეტრაშვილი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1263652—როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სისხლის სამართლის დანაშაულისათვის.

ნ. ჟვანია

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

გადაჭრით გავაუმჯობესოთ სკოლის გარეშე დაწესებულებათა მუშაობა

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ სტალინური ეპოქის ნორჩი თაობის აღსაზრდელად. საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა **მოლოტოვმა** აღნიშნა, რომ „დადგა დრო, როცა წინა პლანზე დგება აღმზრდელობითი ხასიათის ამოცანები, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანები“.

მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის უდიდეს მუშაობას ატარებენ **ლენინ-სტალინის** დიადი პარტია, ლენინური კომკავშირი. ახალგაზრდობას ყოველგვარი პირობა აქვს შექმნილი იმისათვის, რომ დაეუფლოს მეცნიერების მწვერვალებს, კულტურისა და ხელოვნების მრავალფეროვან დარგებს.

ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში უდიდესი როლის შესრულება შეუძლია სკოლის გარეშე დაწესებულებებს. ჩვენს ქვეყანაში ყველა ასაკის ბავშვთათვის გახსნილია პიონერთა მრავალი სასახლე, კულტურისა და დასვენების პარკები, ბავშვთა ტექნიკური სადგურები, საბავშვო რკინიგზები, პიონერთა კლუბები, მოზარდ მაყურებელთა თეატრები და სხვ. ასეთი სახის დაწესებულებანი ბევრი მოიპოვება საქართველოშიც.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მთელმა რიგმა სკოლის გარეშე დაწესებულებებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ბავშვთა შორის მუშაობას. ისინი დიდ დახმარებას უწევენ სკოლას მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და აკადემიური წარმატების ზრდის საქმეში.

კარგად მუშაობს ქუთაისის პიონერთა და ოქტომბრელთა სახლი. ამ სახლს ხელმძღვანელობს ენერგიული მუშაკი, კომკავშირელი ამხ. შ. ჯინჭველეიშვილი. მან სერიოზული მუშაობა ჩაატარა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის დადგენილების საფუძველზე. სახლთან არსებობს მხატვრული კითხვისა და ლიტერატურის, დრამატიული, ნორჩ ნატურალისტთა, მოცეკვავეთა, მომღერალთა და საჭადრაკო წრეები. აღნიშნულ წრეებში გაერთიანებულია 185 ბავშვი, ყველა წრეს აქვს სამუშაო გეგმა. პიონერ-მოსწავლეთათვის ხშირად ტარდება საუბრები და მოხსენებები სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე.

პიონერთა სახლის ენერგიული მუშაობით გამოსწორდა მრავალი სუსტი მოსწავლე, რომლებიც 1939-1940 სასწავლო წლის პირველსა და მეორე მეოთხედში სუსტად სწავლობდნენ.

ასევე კარგად მუშაობს თბილისის ბერიას სახელობის რაიონის პიონერთა კლუბი. კლუბთან შექმნილია და საუკეთესოდ მუშაობენ ბავშვთა თვითმოქმედების სხვადასხვა წრეები. კლუბი დიდ დახმარებას უწევს ამ რაიონის სკოლებს ბავშვთა შორის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

სამწუხაროდ საქართველოში ბევრია სკოლის გარეშე დაწესებულება, რომლებიც ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ვერ უპასუხებენ ვერც სკოლის ამოცანებს და ვერც ბავშვთა მოთხოვნილებებს. სკოლის გარეშე დაწესებულებანი, რომლებიც მოწოდებულნი არიან იმუშავონ სკოლასთან მჭიდრო კავშირში, კარჩაკეტილად ცხოვრობენ, მოწყვეტილი არიან ბავშვებს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ყარაიის პიონერთა კლუბი. უკანასკნელი წლის განმავლობაში კლუბს 4 დირექტორი გამოუცვალეს. კლუბის დირექტორებად ინიშნებოდნენ ისეთი ამხანაგები, რომლებსაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ ბავშვთა შორის მუშაობაზე. პიონერები კლუბის იშვიათი სტუმრები არიან. ეს მდგომარეობა სრულებითაც არ აწუხებთ კლუბის ხელმძღვანელებს. კლუბში არ არის ჩამოყალიბებული ბავშვთა თვითმოქმედი წრეები, პიონერთა შორის არ ტარდება საუბრები და სხვ.

კომკავშირის ყარაიის რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება სუსტად ხელმძღვანელობენ პიონერთა კლუბს. კომკავშირის რაიკომის ბიუროს სხდომაზე მსჯელობის საგნად არ გამხდარა პიონერთა კლუბში არსებული მდგომარეობა.

თავის მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებანი სოხუმის ბავშვთა ტექნიკურ სადგურს. სადგურის დირექტორი ამხ. ლაკაია დაბალი განათლებითაა, მას ტექნიკური განათლებაც არა აქვს მიღებული. სადგურში გაერთიანებულ 189 მოსწავლიდან 61 სუსტად სწავლობს. ტექნიკური სადგური არ არის დაკავშირებული სკოლებთან, სუსტ მუშაობას აწარმოებს მშობლებთან.

საქ. ალკკ სოხუმის საქალაქო კომიტეტი ნაკლებად არის დაინტერესებული სოხუმის ბავშვთა ტექნიკური სადგურის მუშაობით. საქალაქო კომიტეტმა განათლების ორგანოებთან ერთად უნდა მიაღწიოს ბავშვთა ტექნიკური სადგურის მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

საქ. ალკკ ც. კ-ის X პლენუმის გადაწყვეტილებიდან ჯერ კიდევ ვერ გამოიტანეს საჭირო დასკვნები ბორჯომის ბავშვთა ტექნიკური სადგურის ხელმძღვანელებმაც. ტექნიკური სადგური არ ეხმარება სკოლებს მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებაში. ხელმძღვანელების გამოუცხადებლობით ხშირად ბრკოლდება წრეების მეცადინეობა; ეს მდგომარეობა იწვევს დროის უნაყოფოდ გაფლანგვას, მოსწავლეები ეჩვევიან უსაქმობას.

კომკავშირის ბორჯომის რაიკომის ბიურომ 1939 წლის 7 დეკემბერს განიხილა ბავშვთა ტექნიკური სადგურის პიონ-ლაბორატორიის სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორიად გადაკეთების საკითხი. ეს დადგენილება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. ტექნიკურ სადგურში არსებული ლაბორატორიები ისევ სუსტად მუშაობენ.

არანორმალური მდგომარეობაა ხაშურის ბავშვთა ტექნიკურ სადგურშიც. ტექნიკური სადგურის მუშაობის მთავარი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ის მოწყვეტილია სასკოლო ცხოვრებას, პიონერთა რაზმებს. სადგურის დირექტორმა ამხ. ახალკაცმა ისიც არ იცოდა, თუ რომელი მოწაფეა ჩამორჩენილი ან მოწინავე.

ყოვლად დაუშვებელია, როცა სკოლის გარეშე ზოგიერთი დაწესებულება თვითმოქმედ წრეებში აბამს მხოლოდ ფრიადოსან მოსწავლეებს. თბილისის ნორჩ ნატურალისტთა სადგურის ხელმძღვანელებმა მოსწავლეებს საყვარლიშვილსა და იმეცხნიძეს უარი უთხრეს თვითმოქმედ წრეებში ჩარიცხვაზე იმის გამო, რომ მათ ორ-ორ საგანში სუსტი ნიშნები ჰქონდათ. ასეთივე ფაქტს ჰქონდა ადგილი ქუთაისის ბავშვთა ტექნიკურ სადგურშიც.

აღნიშნულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაავიწყდათ, რომ განსაკუთრებული მუშაობაა საჭირო სუსტ მოსწავლეებთან. თვითმოქმედ წრეებში ჩაბმით, ხშირი საუბრების ჩატარებით უზრუნველყოფილ უნდა იქნას სუსტი მოსწავლეების გამოსწორება.

საქ. განსახკომი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს სკოლის გარეშე დაწესებულებებს. განსახკომთან არსებული რესპუბლიკური ცენტრალური ტექნიკური სადგურის მუშაობა უბინაობის გამო ერთ წელზე მეტია შეჩერებული. ჯერაც არ არის მიღებული ზომები ტექნიკური სადგურის მუშაობის განახლებისათვის.

საქ. განსახკომის საშუალო სკოლების სამმართველოს მიერ პიონერთა ყველა კლუბი გადაკეთებულ იქნა პიონერთა სახლებად. ყველაფერი ეს გაკეთდა საკითხის შეუსწავლელად. საჭირო იყო, პირველ რიგში პიონერთა სახლებად იმ კლუბების გადაკეთება, რომლებსაც საამისო საშუალებები გააჩნდათ. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა.

სკოლის გარეშე დაწესებულებათა მუშაკებისათვის ადგილი აქვს ხელფასის გათანაბრებას. მაგალითად, ქუთაისის პიონერთა სახლის დირექტორს, სასწავლო ნაწილის გამგეს, კულტმუშაკს, წრეების ხელმძღვანელებს — ყველას ერთნაირი რაოდენობით ეძლევათ ხელფასი.

არის შემთხვევები, როცა სკოლის გარეშე დაწესებულებათა თანხები არამიზნობრივად იხარჯება. ფოთის განათლების განყოფილებამ პიონერთა პარკის მოწყობისათვის გათვალისწინებული თანხა სხვა დანიშნულებას მოახმარა.

1940 წლის აგვისტოში ტარდება ბავშვთა შემოქმედების სრულიად-საკავშირო ოლიმპიადა. სკოლის გარეშე დაწესებულებებმა გულმოდგინედ უნდა გაშალონ ამ მხრივ მუშაობა. ფართოდ უნდა იქნას გამოვლინებული ბავშვთა ინიციატივა და შემოქმედება. ყველა ღონისძიება უნდა იქნას გატარებული იმისათვის, რომ მზიური საქართველოს ბავშვებმა საპატიო ადგილი დაიკავონ ბავშვთა სრულიად-საკავშირო ოლიმპიადაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს საქართველოს მოზარდ მაყურებელთა თეატრები. ყოველწლიურად ერთსა და იმავე დადგმებს იმეორებენ, რაც დაუშვებელია.

ცუდად მუშაობს საქართველოს კინოსტუდიაც. უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში გამოშვებულ იქნა მხოლოდ ორი მოკლე მეტრაჟიანი საბავშვო კინოფილმები „ორი მეგობარი“ და „პირველი დღე“. კინოსტუდიამ უნდა იფიქროს ისეთი კინოფილმების გამოშვებაზე, რომლებიც დაეხმარება სკოლებს ბავშვთა კომუნისტურად აღზრდაში.

მოყვანილი ფაქტები აშკარად მოწმობენ იმას, რომ სკოლის გარეშე დაწესებულებათა მუშაობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დასჭირდებათ ამ მხრივ დიდი მუშაობის ჩატარება. ჩვენ უნდა მივაღწიოთ პიონერთა სასახლეების, კოლმეურნე ბავშვთა სახლების, ტექნიკური სადგურების, მუსიკალური სკოლების, მოზარდ მაყურებელთა თეატრების მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნას.

◆

ოვნული ლიოთეკა

ფართოდ გამოვიყენოთ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება

ასფუთოსნები

მიმდინარე წლის სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა შინაარსიანად გვიამბობს საკოლმეურნეო სოფლის სტახანოველთა ახალ შესანიშნავ მოძრაობაზე—ასფუთოსნებზე.

პოვოლჟიეს პავილიონში, სტალინგრადის ოლქის—ამ მოძრაობის სამშობლოს—დარბაზში ყველა ჩვენი გამარჯვების შთამგონებლის **ი. ბ. სტალინის** მონუმენტალური სკულპტურისა და ლამაზი პანოს—„ცარიცინის გმირული დაცვის" გვერდით მნახველი ნახავს მინდვრის ნაკვეთს ხშირი, ბუჩქოვანი ხორბლით. ამ ხორბლის თვითეული თავთავი გამოზრდილია არკადი იაკობის-ძე გუროვისა და გიორგი ივანეს-ძე კოზლენკოვის მიერ—პოვოლჟიეს მინდვრებზე ასფუთოსან ბრიგადირთა მოძრაობის ინიციატორების მიერ. აი თვითონ ისინიც პორტრეტებზე, ახალგაზრდა კოლმეურნე ვაჟკაცები, ახლო მეგობრები, რომელთა სახელოვანი ინიციატივაც ახლა მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო.

შეტევა დაიწყო 1939 წლის გაზაფხულზე. მეგობრები ცხოვრობდნენ ხუტორ ვიშნიაკში, ხოპიორზე. გუროვი მუშაობდა მემინდვრედ, კოზლენკოვი — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირად. ისინი ერთად სწავლობდნენ, მუდამ უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ აზრებს, ეცნობოდნენ ეფრემოვის, ჩუმანოვის, კოსტენკოს მიღწევებს, თავისი თანასოფლელის ოლეინიკოვის გამოცდილებას.

გუროვის მინდვრის ნაკვეთი იმყოფებოდა ველში, წყლისაგან დაშორებით. იმაზე, რომ ოლეინიკოვის მაგალითის მიხედვით მოერწყოთ ნაკვეთი, ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. მოსავალს კი დაბალს იღებდნენ —40-50 ფუთს ჰექტარზე. პურს აფუჭებდა გვალვა, ცხელი მშრალი ქარები. მაგრამ გუროვი და კოზლენკოვი არ ივიწყებდნენ სტალინურ სიტყვებს იმის შესახებ, რომ საჭიროა უახლოეს წლებში მივაღწიოთ 8 მილიარდი ფუთი მარცვლეულის წარმოებას და საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 12-13 ცენტნერი მოსავალი.

ბრიგადირებმა შეადგინეს მოქმედების საბრძოლო გეგმა, მოახდინეს მოწინავე აგროტექნიკის მთელი კომპლექსის მობილიზაცია. მათ დაეხმარენ კომკავშირელი აგრონომი შუროგინი, უფროსი მცდელი მირონოვი, საკ. ალკკ კომიტეტის მდივანი რუჟეინიკოვი. კომკავშირულ გაზეთ „მოლოდოი ლენინეცში" მათ დაბეჭდეს მოწოდება ოლქის ყველა ახალგაზრდა ბრიგადირისადმი.

ხოპიორელთა მოწოდებას გამოეხმაურა 30 ბრიგადირი. ასე წარმოიშვა ასფუთოსანთა მოძრაობა.

1939 წელს ისეთი პირი უჩანდა, რომ გვალვიანი უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, საჭირო იყო ნიადაგში რაც შეიძლება მეტი ტენის დაგროვება. 10 კაცისაგან სპეციალურად შექმნილი რგოლი თოვლს აკავებდა მოწნული ფარებით (125 ფარი ჰექტარზე) და თოვლის ზვინებით. მაგრამ თოვლის დაკავება საკმარისი არ იყო. საჭირო იყო კიდევ გაზაფხულის წყლების დაკავება. ამიტომ მშრალად ხვნა ჩაატარეს ფერდობის გარდიგარდმო და ამით ხელი შეუშალეს წყალს ხევებში ჩასულიყო.

შერჩეული ჯიშიანი თესლი მომზადებული იყო უკვე იანვრისათვის. თესლი გააადრეულეს. თესვა დაამთავრეს გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე გასულ წლებში—6 დღეში. მთელი ფართობი 350 ჰექტარის რაოდენობით გულმოდგინედ გამარგლეს სარეველებისაგან. მეორე გამარგვლა ჩაატარეს 180 ჰექტარზე, მესამე—ცალკეულ ნაკვეთებზე.

გუროვის ბრიგადა, რომელიც მეტწილად ქალებისაგან შესდგებოდა, ნამდვილი ენტუზიაზმით მუშაობდა და მიწამ უხვად დააჯილდოვა კოლმეურნეები მათი შრომისათვის.

დანაკარგები რომ არ ყოფილიყო, კომბაინს გაუკეთეს მარცვალდამჭერი და თავთავებს ფოცხავდნენ ცხენის ფოცხებით. მოსავლის აღება 6 დღეში დაამთავრეს.

თავიანთი დაპირება გუროვმა და კოზლენკოვმა პირნათლად შეასრულეს. 350 ჰექტარ ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე აღებულ იქნა 20,6 ცენტნერი მარცვლეული. გაზაფხულის ხორბალმა—ხოლო იგი ყველა ნათესების ნახევარზე მეტს შეადგენდა—მისცა 23,7 ცენტნერი ჰექტარზე. მეზობელ კოლმეურნეობებში მოსავალი ერთიორად უფრო ნაკლები მიიღეს.

ასფუთოსანთა მოძრაობაში ყველაზე უფრო შესანიშნავია შეთანხმებული, ერთსულოვანი მოქმედება სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადებისა. სტენდი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ როგორ შეიქმნა ეს ნამდვილი, ყოველდღიური თანამშრომლობა.

მიმდინარე წელს გუროვისა და კოზლენკოვის ბრიგადა იბრძვის 150 ფუთი მოსავლისათვის ჰექტარზე. შემოდგომიდან ჩატარდა მძლავრად ხვნა, ნიადაგში შეტანილ იქნა მინერალური სასუქები, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ღონისძიებანი თოვლის შესაკავებლად და სხვ. მთელ ზამთარს არ შეწყვეტილა თესვისათვის მზადება.

ასფუთიანი მოსავლისათვის შეჯიბრება უფრო და უფრო ფართოვდება. 38 ბრიგადიდან, რომლებიც მომსახურებას უწევენ სტალინგრადის ოლქის ნოვო-ანენსკაიას მტს-ს, 34 იბრძვის ასფუთიანი მოსავლისათვის. მარცვლეული კულტურების ასფუთიანი მოსავლისათვის შეჯიბრებაში ჩაება მოლოტოვის ოლქის კარაგაის რაიონის მემინდვრეობის 80 ბრიგადა.

რგოლის წარჩინებულმა ხელმძღვანელმა ამხ. სერგეევამ (ალტაის მხარის ანდრეევსკის რაიონის პოლიტგანყოფილების სახელობის კოლმეურნეობა) აიღო ვალდებულება მიმდინარე წელს ხორბალი დათესოს 200 ჰექტარზე და ორ ჰექტარზე აიღოს 600 ფუთი თვითეულიდან, 50 ჰექტარზე — 330 ფუთი თვითეულიდან, ხოლო საშუალოდ მთელი ფართობიდან — 120 ფუთი ჰექტარზე.

ათასობით ბრიგადები გამოეხმაურნენ გუროვისა და კოზლენკოვის მიერ დაწყებულ სტახანოვურ ლაშქრობას მაღალი მოსავლისათვის, რომელიც საკოლმეურნეო წყობილების შესაფერი იქნება.

— სარეკორდო ნაკვეთებზე მაღალი მოსავლის მოყვანა, — სთქვა ამხ. ეფრემოვმა ალტაის მხარის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე, — კარგი საქმეა.

მაგრამ ჩვენ დაუსრულებლად არ უნდა ვაწარმოებდეთ ცდებს. დადგა დრო ახალი აგროტექნიკის მთელი კომპლექსი გამოვიყენოთ საკოლმეურნეო მასივებზე. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ამოცანა ახლა მდგომარეობს იმაში, რომ სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას ჰექტარზე 100-120 ფუთი მოსავლისათვის თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, რაიონში.

ასფუთოსანთა მოძრაობამ, რომელიც იმით არის შესანიშნავი, რომ მაღალი მოსავლისათვის საბრძოლველად შეკავშირებულნი გამოვიდნენ კოლმეურნეები, მექანიზატორები და აგრონომები, წამოაყენა საკოლმეურნეო სოფლის ათასობით ახალი ტალანტები, სტახანოველთა—საკოლმეურნეო სიუხვისა და დოვლათის შემოქმედთა—ახალი რაზმები.

ა. ალექსანდროვი

გამოფენაზე

1940 წლის სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა 7 დღეა მუშაობს. მის მონაწილეთა და ექსკურსანტთა პირველი ჯგუფები—700-ზე მეტი კაცი,—მოსკოვიდან მშობლიურ კოლმეურნეობებში გაემგზავრნენ. უკანასკნელად ათვალიერებდნენ რა გამოფენას, ისინი გულმოდგინედ ამოწმებდნენ სტახანოვური მოსავლის ციფრებს, გულდასმით შეჰქონდათ ეს ციფრები თავიანთ უბის წიგნაკებში.

პოლესიეს ოლქის (ბელორუსიის სსრ) კოლმეურნეებმა დიდი ინტერესით შეისწავლეს გამოფენაზე მეცხოველეობის მეურნეობის მიღწევები. კოლმეურნეობა „ბელარუსის" (ბრაგინის რაიონი) თავმჯდომარე ამხ. სკორობოგატი მოგვითხრობს:

— ჩვენ, — ამბობს იგი, — შინ ვბრუნდებით გულმხურვალე სურვილით—რაც შეიძლება ჩქარა შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა, კარგად ჩავატაროთ თიბვა, მოვაწყოთ თბილი სადგომები პირუტყვისათვის. ჩვენი რესპუბლიკის ტუროვის რაიონმა იმას მიაღწია, რომ მისი ყველა კოლმეურნეობა გამოფენის მონაწილეა. ჩვენ შეგვიძლია ამ რაიონზე უარესად არ ვიმუშაოთ და კიდევაც ვიმუშავებთ ასე.

კალინინის ოლქის მებოსტნეები დიდხანს ჩერდებოდნენ მოსკოვის, ტულისა და რიაზანის ოლქების პავილიონში მოწყობილ საწვიმარ დანადგართან.

გუშინ უკრაინის კოლმეურნეებთან შეხვედრაზე ბოსტნეულისა და კარტოფილის მაღალი მოსავლის შესახებ ლაპარაკობდნენ მოსკოვის ოლქის სახელგანთქმული მებოსტნეები—სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ამხ. კამინსკაია და ოქტომბრის XII წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ამხ. მილიონკოვი.

მუშაობა პავილიონებში გაჩაღებულია. სტენდებთან, საცდელი ნათესის ნაკვეთებზე, აუდიტორიებში გაცხოველებული სწავლებაა. მოხდა სამი რაიონის—რამენსკოეს, ლუხოვიცკის (მოსკოვის ოლქი) და კიევის (უკრაინის სსრ) კოლმეურნეთა საინტერესო შეხვედრა.

ისევე როგორც შარშან, განსაკუთრებით მრავალი ხალხია საქართველოს პავილიონში. პირველი 4 დღის განმავლობაში იგი დაათვალიერა 170 ათასმა კაცმა. დიდი წარმატებით სარგებლობენ უკრაინისა და ბელორუსიის პავილიონები. პირველი მათგანი დაათვალიერა 150 ათასმა კაცმა, მეორე—135 ათასმა კაცმა. მექანიზაციის პავილიონი დაათვალიერა 114 ათასმა კაცმა. (საქდესი).

სამი ნორჩი ნატურალისტი

(ცხაკაია, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

ქალაქ ცხაკაიას მეორე საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლე შოთა ჩიჩუა ციტრუსების მყნობის და მოვლის საუკეთესო ოსტატიცაა. მყნობა მან კოლმეურნეებისაგან ისწავლა.

შოთამ პირველად 1935 წელს 3 ძირი ლიმონი დაამყნო და სამივემ კარგად გაიხარა. ბავშვი აღტაცებული იყო მისი პირველი ნამყნების გახარებით და დიდი მზრუნველობით უვლიდა მათ.

კარგი მოვლით 3 წლის თვითეული ლიმონის ხიდან შოთამ 1938 წელს 600 ცალი ნაყოფი მიიღო, ხოლო 1939 წელს — 800 ცალზე მეტი. ამ შედეგებმა კიდევ უფრო დაინტერესა პატარა მყნობელი. 1938 წელს მან 8000 ძირი ციტრუსი დაამყნო და აქედან 98 პროცენტი გახარა. შოთას წარმატებებმა კოლმეურნეობის ყურადღება მიიპყრო. შარშანწინ კოლმეურნეობამ გამოჰყო 21.100 კვადრატული მეტრი ფართობი, სადაც დარგული იყო 30.000 ძირი ტრიფოლიატი. შოთამ ვალდებულება აიღო წელს დაამყნოს 30.000 ძირი ციტრუსი და გახაროს აქედან არანაკლებ ვიდრე 29000 ძირისა.

პიონერი ნოკოშა გაბეჩავა სოფელ ხორშის საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლეა. გაკვეთილების მომზადების შემდეგ თავისუფალ დროს საკოლმეურნეო შრომას ანდომებს. ბეჯითი და მუყაითი გოგონა საუკეთესოდ დაეუფლა ჩაის ორივე ხელით კრეფის, ბუჩქების გასხვლის, სასუქების შეტანისა და სხვა სამუშაოთა აგროტექნიკას. გასული წლის სეზონში მან 970 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა და 118 შრომადღე გამოიმუშავა.

ამავე სოფლის საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე ხოთო გვასალიამ პატარაობიდანვე ისწავლა მყნობა. მის მიერ დამყნილი 1 ძირი ლიმონი ახლა 5 წლისაა, ხოლო 2 ძირი ლიმონი — ოთხ-ოთხი წლისა. კარგი მოვლით ხოთო გვასალიამ 1938 წელს ერთი ძირი ლიმონის ხიდან 700 ცალი ნაყოფი მიიღო და ამ მაჩვენებლებით მონაწილეობას ღებულობდა 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. 1939 წელს ხოთომ კიდევ უფრო უკეთეს წარმატებებს მიაღწია. 5 წლიანი ლიმონის ხიდან მან 800 ცალი ნაყოფი მიიღო, ხოლო ორ ძირ 4-4 წლიანი ლიმონის ხიდან მიღებულმა მოსავალმა ერთნახევარჯერ გადააჭარბა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის დაწესებულ ნორმას.

ნორჩი ნატურალისტები შოთა ჩიჩუა, ნოკოშა გაბეჩავა და ხოთო გვასალია ამ წარმატებებით მონაწილეობას ღებულობენ 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

ვ. კალანდარიშვილი

მოწინავე კომბაინერი და ტრაქტორისტი

წითელწყარო, („კომუნისტის" კორესპ.) 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის წითელწყაროს რაიონიდან წელს მოსკოვში პირველად მიდის სოციალისტური სოფლის მეურნეობის 53 მოწინავე. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებს შორის არიან ტრაქტორისტები, კომბაინერები, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობის მუშები, სპეციალისტები და სხვ. გამოფენის მონაწილემ, ტრაქტორისტმა ა. ფხეკლეიშვილმა „სტზ—ნატის" ტრაქტორით გასულ წელს მოხნა 708 ჰექტარი და გააკეთა 200 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია. მიმდინარე წლის საგაზაფხულო ხვნის გეგმა კი მან 155 პროცენტით შეასრულა.

გამოფენაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე სტახანოველი კომბაინერი ა. ბექაური, რომელმაც გასულ წელს 15 ფუტიანი კომბაინით მარცვლეული კულტურების მოსავალი აიღო 350 ჰექტარზე, თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 15,8 ცენტნერი. ტრაქტორისტმა ა. ფხეკლეიშვილმა და კომბაინერმა ა. ბექაურმა წელს რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრეს რემონტი და მათი აგრეგატი მზად არის საკოლმეურნეო მინდვრებზე გასასვლელად.

ვ. ტუხაშვილი



სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. აზერბაიჯანის სსრ პავილიონი

ვალერიან გაფრინდაშვილი

საბჭოთა კავშირის გმირს ვლადიმერ ნანეიშვილს

ძვირფასო გმირო! აღიზარდე შენ იმ მხარეში,
სადაც გვეგულვის ფოლადაურ ბელადის კერა.
შენ ყრმობიდანვე შეგიყვარდა ცაზე თარეში,
და პროპელერის უჩვეულო, ჩქარი სიმღერა.

დანაღმულ წერტებს შენ ომის დროს მიაპყარ ცქერა,
ერთი მათგანი არ დატოვე ცეცხლის გარეშე.
მანერჰეიმის გაარღვიე ხაზი პირველად,
იყო ყუმბარა — ფრთაშესხმული შენი ფარეში.

გამოჭედილო ცის ელვებით და გრიგალებით,
გაანადგურე შენ ჰელსინკის აეროდრომი,
თითქოს დაბერტყე შუაღამით ცა შემოდგომის
თან მოგყვებიან მფრინავები ვეფხვის თვალებით.
ნისლთა გამრღვევო! დიდ სტალინის ხარ შევარდენი
და გვასახელებ არაერთხელ შენი მარჯვენით.

დაიწყო ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის ექსპოზიციების გადახალისება

დაიწყო ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის ექსპოზიციების გადახალისება. ფილიალი შევსებულია ახალი მასალებითა და საბუთებით, რომლებიც უფრო ფართოდ გაშლიან პროლეტარული რევოლუციის გენიოსების ლენინისა და სტალინის უმთავრეს ნამუშევართა იდეურ შინაარსს. ვ. ი. ლენინის ნაშრომების გვერდით („რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომებენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?", „რა ვაკეთოთ?", „ერთი ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან" და სხვ.), აგრეთვე ი. ბ. სტალინის კლასიკურ ნაწარმოებებთან ერთად („გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე", „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი") გამოფენილ იქნება ამონაწერები თვით ნაწარმოებისა, რომელიც მოცემულია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში".

ფილიალის თვითეული განყოფილება შეფარდებულ იქნება „მოკლე კურსის" ერთერთ თავთან. განყოფილების დასკვნითი საბუთი იქნება ის დასკვნები, რომლებიც მოცემულია პარტიის ისტორიის სტალინური სახელმძღვანელოს თვითეული თავის ბოლოში.

უდიდეს ინტერესს წარმოადგენენ მრავალი საბუთები და მასალები, რომლებიც გამოფენილ იქნება პირველად, კერძოდ, გამოფენილ იქნება ქართულ ენაზე ამხანაგ სტალინის სტატიის — „პროლეტარების კლასი და პროლეტარების პარტია" — ლიტოგრაფიული პირი; მეორე ვიტრინაში გამოფენილ იქნება ეს სტატია რუსულ ენაზე, რომელიც დაბეჭდილი იყო „ბოლშევიკში".

რომ უფრო სრულად იქნას ნაჩვენები ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", ფილიალში ეწყობა სპეციალური ვიტრინა.

ერთერთ ვიტრინას დაიკავებს ბაქოს იმ გაზეთების ფოტომონტაჟი, რომლებიც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამოდიოდა.

ფილიალის ექსპოზიციაში დამატებით შეტანილია საქართველოს მხატვრების მთელი რიგი სურათები. მათ შორის მხატვარ ვ. ქუთათელაძის ორი სურათი—„ლენინი და სტალინი რსდმპ სტოკჰოლმის ყრილობის დელეგატთა შორის" და „ლენინი და სტალინი გორკაში". სხვა სურათებს შორის გამოფენილია კ. კიკნაძის სურათი „სტალინის გაგზავნა ქუთაისის საპყრობილიდან ბათუმის საპყრობილეში".

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის ექსპოზიციების გადახალისება დამთავრდება ივნისში. (საქდესი).

მეცნიერნი—სტალინური სტიპენდიების კანდიდატები

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საექსპერტო კომისიებმა მუშაობა დაამთავრეს

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საექსპერტო კომისიებმა დაამთავრეს მეცნიერ მუშაკთა — სტალინის სახელობის სტიპენდიის კანდიდატთა შერჩევა.

ქიმიურ მეცნიერებათა საექსპერტო კომისიამ აკადემიკოს ა. ნ. ბახის თავმჯდომარეობით განიხილა მასალები 60 მეცნიერის შესახებ, რომლებიც დისერტაციებს ამზადებენ მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, და სტიპენდიანტებად წამოაყენა ქიმიის სხვადასხვა დარგის ოცზე მეტი ახალგაზრდა მეცნიერი და სპეციალისტი. ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა კომისია აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის თავმჯდომარეობით სტალინურ სტიპენდიანტებად ასახელებს ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატებს ამხ. მიგდალსა და გურევიჩს, რომლებიც ატომის ბირთვის პრობლემებზე მუშაობენ. დასახელებულია აგრეთვე თბილისის მათემატიკური ინსტიტუტის თანამშრომელი ამხ. ვეკუა, რომელიც შრომას სწერს ინტეგრალური განტოლების შესახებ.

გეოლოგიურ-გეოგრაფიულ მეცნიერებათა დარგში სტალინის სახელობის სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევად მუშაობდა კომისია აკადემიკოს ვ. ა. ობრუჩევის თავმჯდომარეობით. შერჩეულია 28 კანდიდატი. დიდ ინტერესს წარმოადგენს სრულიად-საკავშირო არქტიკული ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის, დოქტორანტ მაქსიმოვის დისერტაციის თემა — ჩრდილოეთის საზღვაო გზის ტრასზე არსებულ მდინარეებთა შესახებ, ამხ. ვასიუტინის დისერტაციისა — სსრ კავშირის მრეწველობის დარაიონების ძირითადი პრინციპების შესახებ და ამხ. ბლოხინის დისერტაციისა — „სამხრეთი ურალის დასავლეთი ფერდობის გეოლოგიური აღნაგობა".

ისტორიულ მეცნიერებათა კომისიამ აკადემიკოს ემ. იაროსლავსკის თავმჯდომარეობით შეარჩია 14 კანდიდატი. ყურადღებას იქცევს სადოქტორო დისერტაციების შემდეგი თემები: „უკრაინელი ხალხის სამამულო ბრძოლა შლიახტის პოლონეთის წინააღმდეგ XVI საუკუნის მეორე ნახევარში და XVII საუკუნის პირველ ნახევარში" — უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ამხ. გუსლისტისა; „რუსეთის მრეწველობა და ფინანსები 1914-18 წლების იმპერიალისტური ომის დროს" — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ამხ. სიდოროვისა; „ჩინეთის აგრარული წყობილება ადრინდელ შუა საუკუნეებში" — მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ამხ. დუმანისა (საქდესი).

ა. ივანოვი

ახალი სოფელი

კითხვაზე, თუ რომელი გზა მიგვიყვანს სოფელში, ჩვეულებრივად გვპასუხობდნენ:

— ხედავთ სამრეკლოს, აი იმ მიმართულებით წადით...

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მნახველისათვის, რომელსაც სურს დაათვალიეროს განყოფილება — „ახალი სოფლად", მისაგნებ ნიშანს უკვე წარმოადგენს არა სამრეკლო, არამედ ქარძრავას ლითონის კოშკურა და სარძეო-სასაქონლო ფერმასთან მოწყობილი სასილოსე კოშკი.

ძველ, რევოლუციამდელ სოფელს, — მოარულ ავადმყოფობათა, სილატაკისა და სოციალური უსამართლობის სოფელს, — გამოფენის მნახველს მოაგონებს მხოლოდ ის მხატვრული ფრესკები, რომლებიც მოთავსებულია განყოფილების—„ახალი სოფლად" ტერიტორიის შესასვლელთან. ერთი მათგანი გვისურათებს მიჯნაზე ატეხილ დავას. დაძონძილი, ფეხშიშველი გლეხები, დამშეული თვალებით, დგანან ახოვანი მემამულის, მამასახლისის და პოლიციელის წინაშე. გლეხთა მიწების წვრილ ზოლებს უპირისპირდება მემამულეთა მიწების დიდი მასივები; ხის სახნისს და ღარიბულ ფორანში გაბმულ ჯაგლაგ ცხენს—მემამულის მსუქანი ცხენები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

მეორე ფრესკაზე გამოსახულია—ნიაღვრით მორეცხილი ორღობიანი გზა, მდინარეზე გადებული ნახევრადდამპალი ხიდი, პრიმიტიულ სამჭედლოსთან ჰყრია დამტვრეული სახნისები, ხის ფარცხები.

სოფლის ცენტრში—სოფლის დიდკაცობის: კულაკების, ურიადნიკის, ხუცის სახლები, დახურული თუნუქით; აქვე—ეკლესია, სამიკიტნო. ცოტა დაშორებით—საშუალო გლეხთა ჩალით დახურული სახლები, ეზოებს გარეთ კი—მიწაში ჩაფლული ღარიბი გლეხების ქოხები. ფრესკის ქვემოდ სტალინის სიტყვები: „ჰქრება ძველი სოფელი, თავისი საყდრით ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილას, ურიადნიკის, ხუცესის და კულაკის საუკეთესო სახლებით პირველ რიგზე, თავისი ნახევრად დანგრეული გლეხური ქოხებით უკანა რიგზე. მის ადგილას ჩნდება ახალი სოფელი, თავისი საზოგადოებრივ-სამეურნეო ნაგებობებით, თავისი კლუბებით, რადიოთი, კინოთი, სკოლებით, ბიბლიოთეკებით და ბაგებით, თავისი ტრაქტორებით, კომბაინებით, სალეწი მანქანებით, ავტომობილებით". (ი. ბ. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები" გვ. 674).

„ახალი სოფელი" — გამოფენის ერთერთი შესანიშნავი კუთხეა. ის ნათლად გვიჩვენებს, რომ საკოლმეურნეო წყობილებამ სახე უცვალა სოფელს, გლეხებს მოუტანა საამური შემოქმედებითი სიცოცხლე. ეს ტიპიური საკოლმეურნეო სოფელია, როგორიც ჩვენს ქვეყანაში ათასობით მოგვეპოვება.

ერთსართულიანი აგურის შენობის ფასადზე—სსრ კავშირის ღერბი. შენობის ირგვლივ—ყვავილები, მწვანე ნარგავები, სავარძლები. ეს არის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო—სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო სოფლად. თავმჯდომარის კაბინეტი, სექციების სამუშაო ოთახი, მისაღები ოთახი, ფოსტა. ოთახები გემოვნებით არის მორთული. მისაღებ ოთახში—დიდი მაგიდა, სკამები, ყვავილები, გაზეთები, ჟურნალები.

წელს გამოფენაზე თავისი მიღწევების ფართოდ ჩვენების უფლება მოიპოვა როსტოვის ოლქის, სალსკის რაიონის, ნოვო-ეგორლიკის სასოფლო საბჭომ.

რევოლუციამდე გვალვიან სალსკის ველებზე მარცვლეულის მოსავლიანობა ჰექტარზე 6 ცენტნერს არ სჭარბობდა. სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში ნოვო-ეგორლიკის სასოფლო საბჭოში საშუალო მოსავალი ჰექტარზე აღწევს 12,5 ცენტნერს, შემოდგომაზე ნათესი პურისა კი—15,1 ცენტნერს. სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობებში 40-ზე მეტი სტახანოვური რგოლია. ამათგან საუკეთესოებმა 1939 წელს ჰექტარზე მოიყვანეს 25-28 ცენტნერი მარცვლეული. 1940 წ. ისინი ჰექტარიდან აიღებენ 40-50 ცენტნერს.

1934 წელთან შედარებით კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალმა იმატა ხუთჯერ და კიდევ უფრო მეტად და თითქმის 6 მილიონ მანეთს მიაღწია.

ნოვო-ეგორლიკის სასოფლო საბჭოში არის 14 საკოლმეურნეო კლუბი, სოციალისტური კულტურის სახლი, 25-საწოლიანი საავადმყოფო, 6-საწოლიანი სამშობიარო სახლი, 16 საბავშვო ბაგა, ხმოვანი და მოძრავი კინო. სასოფლო საბჭო 6 ათასამდე ჟურნალსა და გაზეთს იღებს. 10 სკოლაში სწავლობს კოლმეურნეთა 2.654 ბავშვი. რევოლუციამდე სწავლობდა მხოლოდ 210. მთლიანად ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა.

კიდევ უფრო შესანიშნავია სოფლის ინტელიგენციის ზრდა. ნოვო-ეგორლიკის სასოფლო საბჭოში მუშაობს 6 აგრონომი, 17 მედმუშაკი, 53 მასწავლებელი, პოლიტგანათლების 30 მუშაკი, 17 ბეითალი, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების 40 ხელმძღვანელი.

სასოფლო-საბჭოს ახლოს დგას ყირიმის ასსრ-ის, ტელმანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინელის" გამგეობის სახლი.

მიწა, რომელიც კოლმეურნეობის დაარსებამდე ჰექტარზე იძლეოდა 6 ცენტნერამდე მარცვლეულს, „ლენინელის" კოლმეურნეთა მზრუნველი ხელით ჰექტარზე 20 ცენტნერზე მეტს იძლევა. თუ წარსულში ძროხები ცოტას იწველიდნენ, ახლა კოლმეურნეები წლიურად თვითეული ძროხიდან საშუალოდ იღებენ 3.000-მდე ლიტრა რძეს. კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერება 1937 წლიდან 3-ჯერ გაიზარდა.

გამგეობის ოთახებში დაგროვილი მასალები გვიჩვენებენ, თუ როგორ იბრძვის კოლმეურნეობა მაღალი მოსავლისათვის 1939 წ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გამოცდილებათა გამოყენებით.

ქოხ-ლაბორატორიაში ნახავთ კოლმეურნე მცდელს მიხეილ იაკობის-ძე გრუზინს.

1937 წელს ალტაის მხარის, კარასუკის რაიონის კოლმეურნეობა „1 აგვისტოს" ქოხ-ლაბორატორიის გამგე გრუზინმა ჩაატარა ხორბლის „მილტურუმ 0321-ის" 31.600 თავთავის მინაჯიშობრივი შეჯვარება. მიღებული 26 კილოგრამი მარცვალი მან კვლავ დასთესა და მიიღო იშვიათი ხშირ ბუჩქოვანი აღმონაცენი. ბევრ მცენარეს 40-60 ღერო—ზოგს კი—70-80 ღერო ჰქონდა. ყველა ღერომ თავთავი გაიკეთა. მსგავსი ბუჩქოვანობა არ ახსოვს სოფლის მეურნეობის პრაქტიკას.

გასულ წელს განახლებული ხორბალი 20 ჰექტარზე დაითესა.

კოლმეურნეობამ მთელი სათესი ფართობისათვის მიიღო განახლებული, მაღალბუჩქოვანი ხორბალი, რომელიც არ ავადდება მტვრიანი გუდაფშუტით.

შინაჯიშობრივი შეჯვარების მეთოდი შემოწმებულ იქნა აგრეთვე ხორბალ გორდეიფორმა 010-ზე. განახლებული ჯიში აგრეთვე გამოირჩეოდა მაღალი ბუჩქოვანობით. ჰექტარზე მოსავალმა მიაღწია 36 ცენტნერს, როდესაც ძველი თესლი ჰექტარზე 14 ცენტნერს იძლეოდა.

ქოხ-ლაბორატორიაში თავის ნოვატორულ მუშაობას გვიჩვენებს დენის ნიკანორის-ძე ლისენკო, პოლტავის ოლქის კარლოვკის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიტსკი ტრუდის" ქოხ-ლაბორატორიის გამგე. დ. ნ. ლისენკოს ჩვენს ქვეყანაში იცნობენ, როგორც თესლის პირველ გამაადრეულებელს.

1929 წელს, თავისი შვილის, აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს რჩევით, დენის ნიკანორის-ძემ გააადრეულა 3 ფუთი საშემოდგომო თესლი და დასთესა იგი გაზაფხულზე. გლეხები გაკვირვებით შეჰყურებდნენ დენის ნიკანორის-ძეს. რატომ ღუპავს მოხუცი ასეთი კარგი ხარისხის მარცვალს? მაგრამ აი გამოჩნდა ჯეჯილი, ცოცხალი, როგორც საგაზაფხულო ნათესი. შემდეგ ხორბალმა თავთავი დაიყარა, აივსო მარცვლით და საუცხოვო მოსავალი მისცა.

დენის ნიკანორის-ძე ამჟამად აადრეულებს არა მარტო მარცვლეულს, არამედ შაქრის ჭარხალს და კარტოფილსაც. დ. ნ. ლისენკო ბევრს მუშაობს თესლების განახლებაზე, ახალი ბაქტერიული და სხვა სასუქების შესწავლაზე.

„ახალი სოფელი" გიჩვენებთ საკოლმეურნეო სოფლის არა მარტო საკოლმეურნეო წარმატებებს, არამედ მის ახალ ყოფას, კულტურას. შვიდწლედის თეთრ, ორსართულიან შენობაში, მის მოწყობილ კლასებში, სასწავლო კომბინატებში, ბიბლიოთეკა-სამკითხველოში და სხვა გვიჩვენებს თავის მუშაობას მოსკოვის ოლქის ზვენიგოროდის რაიონის ბოლშე-ვიაზმის სკოლა.

საბჭოთა ხელისუფლებამ, საკოლმეურნეო ცხოვრებამ სრულიად გამოსცვალა გლეხი-ქალის წინანდელი მწვავე ზვედრი. განყოფილებაში „ახალი სოფლად", ნაჩვენებია სუმის ოლქის კლიშკის სასოფლო საბჭოს სამშობიარო სახლი და საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის საბავშვო ბაგები.

დღის ბოლოს გამოფენის მნახველი დასასვენებლად შევა ყირიმის ასს რესპუბლიკის ტელმანის რაიონის კოლმეურნეობა „მეორე ხუთწლედის" კლუბში და უნებლიედ დაფიქრდება იმაზე, თუ რა მშვენივრად იმოგზაურა მან დღეს ბედნიერ საკოლმეურნეო სოფელში, სოფელში, რომლის მსგავსი არა აქვს მსოფლიოში არცერთ ქვეყანას, გარდა ჩვენი სამშობლოსი.

ჩვენ გვწერენ

რატომ გააუქმეს ავჭალის კლუბი?

სოფელი ქვემო-ავჭალა საქართველოს დედაქალაქს რვა კილომეტრით არის დაშორებული. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს ადგილი სამრეწველო ცენტრად გადააქცია. აქ მუშაობს შამპანური ქარხანა, „ცენტროლიტი", მინის ქარხანა და სხვა სამრეწველო საწარმოები. ავჭალის ძველ წყალსადენთან, ვიდრე ნატახტარის წყალსადენს გაიყვანდნენ, არსებობდა კლუბი. ეს კლუბი ემსახურებოდა არა მარტო ავჭალის, არამედ ახლო-მახლო სოფლებსაც. რა ბედი ეწია ამ ერთადერთ კულტურულ კერას? წყალსადენის სამმართველომ, იმის ნაცვლად, რომ შეეკეთებინა კლუბის შენობა, სადაც წყალი ჩამოდიოდა, კლუბი სულაც გააუქმა და საცხოვრებლად გადააქცია. ეს იმ დროს, როდესაც არც წყალსადენის, არც შამპანური ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს კლუბი არა აქვთ. საერთო საცხოვრებლისათვის შეიძლებოდა სხვა ბინის გამონახვა.

წყალსადენის სამმართველოს ასეთი მოქმედება ყოვლად შეუწყნარებელია. მან უნდა აღადგინოს კლუბი, რომელიც მომსახურებას გაუწევს მუშა-მოსამსახურეებს.

მეფანდურე ა. მაისურაძე

როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?

თიანეთი თბილისიდან დაახლოებით 70 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. ზაფხულობით თიანეთში აუარებელი ხალხი მიდის დასასვენებლად. ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებს და კოლმეურნეებს ხომ ხშირად უხდებათ თბილისში ჩამოსვლა. მგზავრები მიტოვებული არიან ეგრეთწოდებული „ხალტურის" მოყვარულ შოფერების ამარა. ყოველ მგზავრს შემთხვევითი შოფერები 50-დან 80 მანეთამდე ახდევინებენ.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, ხშირად მგზავრები ხელში უვარდებიან ისეთ შოფერებს, რომელთაც კანონით არა აქვთ ხალხის ტარების უფლება. ხშირად შეხვდებით დატვირთულ საბარგო მანქანაზე — შეშაზე, მორებზე ან კასრის ფიცრებზე მსხდომ მგზავრებს, რომელნიც დამტვრევისაგან არ არიან დაზღვეულნი. ამიტომაც არის ხოლმე ავარიისა და ადამიანის მსხვერპლის შემთხვევები.

ყოვლად დაუშვებელია ის ფაქტი, რომ „სოიუზტრანსს" არცერთი მანქანა არა აქვს განკუთვნილი თიანეთისათვის.

როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?

ვ. ხორნაული

საგადასახადო პოლიტიკის დამახინჯებისათვის

„კომუნისტის" სოფლკორი ცხაკაიადან გვწერდა, რომ ცხაკაიაში მშენებლობაზე მომუშავე კერძო ხელოსნებს ცხაკაიას რაიფინგანი არ ბეგრავს საშემოსავლო და სხვა გადასახადებითო.

რედაქციამ წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გაუგზავნა ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. საკითხი განიხილა ცხაკაიას რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა და საგადასახადო პოლიტიკის დამახინჯებისათვის სასჯელი დაადო რაიფინგანის საგადასახადო ინსპექტორს ბებიას და ქალაქის საგადასახადო ინსპექტორს ხორავას.

ჩერჩილის სიტყვა

ლონდონი, 20 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის სიტყვას, რომელიც გუშინ ტრანსლირებულ იქნა რადიოთი. „მე, — სთქვა ჩერჩილმა, — პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნის დროის განმავლობაში პირველად გამოვდივარ ჩვენი ქვეყნისათვის, მთელი ბრიტანეთის იმპერიისა და მოკავშირეთათვის ამ პასუხსაგებ ჟამს. ამჟამად საფრანგეთისა და ფლანდრიის მინდვრებში გრანდიოზული ბრძოლაა გაჩაღებული. საჰაერო ბომბარდირებისა და მძიმე ტანკების მოქმედების განსაცვიფრებელი შეხამებით გერმანელებმა შესძლეს გაერღვიათ საფრანგეთის თავდაცვითი ხაზი მაჟინოს ხაზის ჩრდილოეთით, და მათი ჯავშანსატანკო ნაწილების ძლიერი კოლონები შეიჭრნენ დაუცველ სივრცეში, სადაც პირველი ორი დღის განმავლობაში არ მოიპოვებოდა საკმაო ჯარი, რომელსაც შეეძლო უკუექცია მტერი. გერმანიის ჯარები ღრმად შეიჭრნენ საფრანგეთში და შეშფოთებასა და პანიკას სთესავენ. გერმანიის არმიის ჯავშანსატანკო ნაწილებს საბარგო მანქანებით მიჰყვება ქვეითი ჯარი, რომლის უკანაც გერმანიის ჯარების ახალი მასები მოდიან". ჩერჩილმა აღნიშნა, რომ, თუ გერმანიის ჯავშანსატანკო კოლონები მოკავშირეთა ჯარების განლაგების ხაზს იქით იმყოფებიან, „სადაც მათ ყველაზე ნაკლებად ელოდნენ", „საფრანგეთის არმია, თავის მხრივ, მრავალ პუნქტში გერმანელთა ჯარების განლაგების ხაზს იქით მოქმედებს, და ორივე მხარე განსაკუთრებით საშიშ მდგომარეობაშია".

ჩერჩილმა იმედი გამოსთქვა, რომ თუ მოკავშირეთა არმიებს კარგი ხელმძღვანელობა ეყოლებათ, თუ ისინი სიმხნევეს შეინარჩუნებენ და ბრძოლაში გამძლეობასა და შეუპოვრობას გამოიჩენენ, „მაშინ შესაძლებელია, ძირიანად შეიცვალოს ახლანდელი საომარი ვითარება".

„იმის შემდეგ, — განაცხადა შემდეგ ჩერჩილმა, — როდესაც საფრანგეთში ბრძოლა შენელდება, ინგლისის ჯერი დადგება. ეს ბრძოლა გააფთრებული იქნება. ამ უაღრესად დაძაბულ მომენტში ჩვენ უკან არ დავიხევთ იმის წინაშე, რომ გადავდგათ ყოველი ნაბიჯი, უაღრესად სასტიკიც კი, და გამოვწუროთ ხალხს ყოველივე, რაც კი მას შეუძლია. სისულელე იქნებოდა, რომ მომენტის სერიოზულობა ჯეროვნად არ შეგვეფასებინა. უფრო მეტი სისულელე იქნებოდა თავი დაგვეკარგა, გული გაგვტეხოდა და გვეფიქრნა, რომ 3-დან 4 მილიონამდე კაცისაგან შემდგარი კარგად გაწვრთნილი და კარგად შეიარაღებული არმია შეიძლება რამდენიმე კვირის ან და რამდენიმე თვის განმავლობაში იქნას დამარცხებული ტანკებითა და ჯავშნიანი მანქანებით, რაც უნდა ძლიერი იყვნენ ისინი. ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ველოდეთ ფრონტის სტაბილიზებას საფრანგეთში და საერთო შეტაკებას ყველა არმიას შორის".

შეეხო რა ბრძოლების დეტალებს, ჩერჩილმა განაცხადა: „არმიებმა ხელი უნდა აიღონ იმ აზრზე, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ შემოტევას, და უნდა მიხვდნენ, რომ ნამდვილი ოსტატობის გამოჩენა მხოლოდ და მხოლოდ გააფთრებული და დაუნდობელი შეტევის გზით შეიძლება".

შემდეგ ჩერჩილმა განაცხადა, რომ ინგლის-საფრანგეთის ავიაციამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მოწინააღმდეგეს, რომ ინგლისისა და გერმანიის ავიაციას შორის თანაფარდობა ამჟამად გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ომის დაწყებისას იყო, და რომ ინგლისის ავიაციამ ამ უკანასკნელ დღეებში სერიოზული ზიანი მიაყენა გერმანიის ნავთსაცავებს.

„როდესაც დასავლეთის ფრონტი სტაბილიზებული გახდება, — სთქვა შემდეგ ჩერჩილმა, — გერმანელთა ძალების ძირითად ნაწილს, რომელიც ჰოლანდიაში შეიჭრა, ინგლისის წინააღმდეგ გამოჰგზავნიან. ჩვენ მზადა ვართ შევხვდეთ ამ დარტყმას, გაუძლოთ მას და ყოველგვარი ძალის დარტყმით ვუპასუხოთ, რის უფლებასაც გვაძლევს ომის დაუწერელი კანონები".

დასასრულ, ჩერჩილმა აღნიშნა, რომ საჭიროა იარაღისა და საომარი მასალის წარმოების გადიდება, რაშიც ამჟამად „დიდ საჭიროებას განვიცდით, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა „გადიდებულ იქნას მსხვერპლი, რომელიც უნდა გაიღოს ინგლისის ხალხმა".

ამასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ, სიცოცხლისათვის ბრძოლასთან შედარებით, „საკუთრებისა და სამუშაო საათების საკითხი არაფერს არა ნიშნავს". შემდეგ ჩერჩილმა სთქვა: „რეინომ და საფრანგეთის სხვა ხელმძღვანელებმა პირობა მომცეს, რომ, რაც უნდა მოხდეს, ბოლომდე იბრძოლებენ. ინგლისის მთავრობაც აღსავსეა გადაწყვეტილებით გამარჯვებამდე იომოს და, რადაც უნდა დაჯდეს ეს, კაპიტულაციას არასოდეს არ მოახდენს".

დაფ კუპერის გამოსვლა

ლონდონი, 20 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 18 მაისს ინგლისის ინფორმაციის მინისტრმა დაფ კუპერმა სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი. შეეხო რა საომარ მოქმედებას, დაფ კუპერმა განაცხადა: „მოწინააღმდეგე გაცილებით უფრო მეტ რისკს ეწევა, ვიდრე მოკავშირეები". მოკავშირეებმა რომ საფრანგეთში ამჟამად წარმოებული დიდი ომი წააგონ, ეს ჯერ კიდევ იმის მომასწავებელი არ იქნება, რომ მათ მთელი ომი წააგეს. ხოლო გერმანია თუ ამ ბრძოლაში დამარცხდა, მისთვის ეს მთელი ომის წაგება იქნება. მან ეს იცის და სწორედ ამიტომ გამოიყვანა საომრად უდიდესი ძალები, რასაც იგი მრავალი წლის განმავლობაში აგროვებდა". „საფრანგეთში ამჟამად წარმოებული ბრძოლა, — სთქვა შემდეგ დაფ კუპერმა, — დიდად არ განსხვავდება წარსული ომის მთელი რიგი ბრძოლებისაგან. ეს ბრძოლა უძლიერესი დარტყმით დაიწყო, შემდეგ იგი თანდათან სუსტდება და საბოლოოდ მას შეუძლია დააუძლუროს შემტევი მხარე და ამით ხელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს თავდამცველი მხარე. გერმანელებმა ფართო ფრონტი გაარღვიეს. მაგრამ მათ გაარღვიეს არა მაჟინოს ხაზი, არამედ ამ ხაზის გაგრძელება, რომელიც არასოდეს არ ითვლებოდა მიუვალ ხაზად".

1914 წლის სექტემბერს მარნასთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ, — აღნიშნა დაფ კუპერმა, — გერმანიის არმიის სარდალმა განაცხადა: „ჩვენ ომი წავაგეთ".

შემდეგ დაფ კუპერი დაწვრილებით შეჩერდა „ინგლისის ავიაციისა და მფრინავთა შემადგენლობის ბრწყინვალე თვისებებზე". განმარტა რა ინგლისის ავიაციის უპირატესობის მიზეზები, დაფ კუპერმა მოიგონა ოლივერ კრომველის სიტყვები: „საუკეთესო ჯარისკაცი ის ჯარისკაცია, რომელმაც იცის, თუ რისთვის იბრძვის, და უყვარს ის, რაც იცის".

ჩიანოს მიერ მილანში წარმოთქმული სიტყვა

რომი, 20 მაისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ მილანში გერმანია-იტალიის კავშირის წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიანომ, რომელმაც, კერძოდ, განაცხადა, რომ „იტალიას არ აურიდებია და ვერც აარიდებს თავს ევროპის ამბებს; ამ საქმეში რომს სურს სთქვას და კიდევაც იტყვის თავის სიტყვას". ჩიანომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იტალია „ემზადება შეეგებოს ახალ ამოცანებს, რომელთა გადასაწყვეტად იგი შეიძლება მოწოდებულ იქნას". დასასრულ, მან განაცხადა: „როდესაც მუსოლინი ბრძანებს, იტალია იარაღით დაამტკიცებს, რომ იგი მზად არის იბრძოლოს თავის მოთხოვნათა განხორციელებისათვის".

ამერიკელი კორესპონდენტები ჩიანოს სიტყვის შესახებ

ნიუ-იორკი, 20 მაისი (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" რომაელი კორესპონდენტი იუწყება, ჩიანომ რომ თავისი სიტყვა დაამთავრა, ხალხში გაისმოდა შეძახილები: „კორსიკა, ნიცა, სავოია!". ამ გაზეთის კორესპონდენტი, ისევე როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, კომენტარებს უკეთებს რა ჩიანოს გამოსვლას, აცხადებს: იტალია ამჟამად „ომის მიჯნაზე" იმყოფება და მას შეუძლია ისე ჩაებას ომში, რომ ახლანდელი ბრძოლის შედეგებს არც კი დაელოდოს.

ჩიანო ალბანეთს მიემგზავრება

ნიუ-იორკი, 20 მაისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ 21 მაისს ჩიანო ალბანეთს მიემგზავრება.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში

ხუბეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, ძაოიანის ალების შემდეგ, ჩინეთის ჯარი განაგრძობს კონტრშეტევას ორი მიმართულებით: სუისიანისა და ჯუნსიანისაკენ (ხანკოუ-იჩანის გზატკეცილზე). ამავე მიმართულებით უკან იხევს იაპონიის ჯარი. იაპონიის საველე შტაბის ცნობით, ხუბეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილსა და ხენანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში მოქმედმა იაპონიის ჯარმა „განზრახ" დაიხია უკან, რათა ალყა შემოარტყას ჩინეთის ჯარს.

ხენანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩინეთის ჯარი წარმატებით ოპერაციას აწარმოებს სინიანის რაიონში. ჩინელები ალყას არტყამენ სინიანის რკინიგზის სადგურს; ეს სადგური ერთ წელზე მეტია, რაც იაპონელების ხელშია.

ჩრდილოეთ ჩინეთში

16 და 17 მაისს შანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში მნიშვნელოვანი ბრძოლა სწარმოებდა იანჩენის ირგვლივ.

○

19 მაისს სიჩუანის პროვინციის მრავალ ქალაქში საჰაერო განგაში გამოაცხადეს. ჩუნცინში განგაშმა 7 საათს გასტანა. იაპონიის თვითმფრინავთა სამი ჯგუფი, რომელიც 30-ზე მეტი ერთეულისაგან შესდგებოდა, სამჯერ გამოჩნდა ჩენდუში. ჩინეთის საზენიტო არტილერიამ პროჟექტორების შუქზე სროლა აუტეხა იაპონიის თვითმფრინავებს. იაპონელთა თვითმფრინავებზე იერიში მიიტანეს აგრეთვე ჩინეთის ავიაგამანადგურებლებმა. იაპონიის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ჩენდუს დასავლეთითა და აგრეთვე ქალაქის სამხრეთი ნაწილის მიდამოებში, რის შემდეგ მიიმალნენ.

20 მაისი (საკდესი).

საფრანგეთის პრემიერ რეინოს სიტყვა

პარიზი, 20 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ 18 მაისს, საღამოს, რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა რეინომ, რომელმაც განაცხადა: „მე უკვე მოგახსენეთ გუშინწინ, რომ მოწინააღმდეგემ მოახერხა ფართოდ გაერღვია ფრონტი. მას შემდეგ ეს გარღვევა გაფართოვდა დასავლეთისაკენ. მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ სრულიადაც არ არის უიმედო". შემდეგ რეინომ აღნიშნა, რომ შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა იგი განეხორციელებინა საფრანგეთის მთავრობის რეორგანიზაცია, შეეყვანა მის შემადგენლობაში მარშალი პეტენი და ჟორჟ მანდელი, აგრეთვე თვითონ ეკისრა სამხედრო მინისტრობა.

ინგლისის საექსპედიციო არმიის შტაბის კომუნიკე

ლონდონი, 20 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს საფრანგეთში მყოფი ინგლისის საექსპედიციო არმიის შტაბის შემდეგ კომუნიკეს: „ინგლისის ჯარი, მიუხედავად მტრის მოძალებისა, წარმატებით ინარჩუნებდა თავის პოზიციებს".

ინგლისის საესკადრო ნაღმოსნის დაღუპვა

ლონდონი, 20 მაისი (საკდესი). ინგლისის საზღვაო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ინგლისის საესკადრო ნაღმოსანს „უიტლის". საესკადრო ნაღმოსანი სერიოზულად დაზიანდა და იძულებული გახდა ნაპირზე გარიყულიყო. მოკლულია 4 კაცი.

გერმანიის თვითმფრინავები პარიზის რაიონში

პარიზი, 20 მაისი (საკდესი). 18 მაისს, საღამოს, პარიზში და მთელს პარიზის რაიონში საჰაერო განგაში გამოცხადდა. პარიზისაკენ მიემართებოდა გერმანელთა ორი ესკადრილია. თვითეული მათგანი რვა თვითმფრინავისაგან შესდგებოდა. საზენიტო არტილერიამ და ავიაგამანადგურებლებმა გერმანიის 4 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

გერმანიის ავიაციის ფრენა ინგლისის სანაპიროს მახლობლად

ლონდონი, 20 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს, რომ გერმანიის თვითმფრინავები 18 მაისს მთელ ღამეს ფრინავდნენ ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად. სანაპიროზე ისმოდა ინგლისის სამხედრო საპატრულო გემების ქვემეხთა სროლა. საჰაერო თავდაცვის რაზმები მზად იყვნენ. მაგრამ სანაპიროზე საჰაერო განგაში არა ყოფილა.

ბერძნების ჯარის კონცენტრაცია

ბუქარესტი, 20 მაისი (საკდესი). რუმინულმა გაზეთმა „უნივერსულმა" გამოაქვეყნა ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობა, რომ საბერძნეთი ჯარს თავს უყრის თავისი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში.

სწრაფმავალი გლისერი, რომელიც მოძრაობს სოჭსა და სოხუმს შორის.
ფოტო ჩერნოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

აღმოჩენილია წიგნი ვიქტორ ჰიუგოს ავტოგრაფით

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ბიბლიოთეკაში, უცხოეთის განყოფილების წიგნების გარჩევისას, აღმოჩენილია ვიქტორ ჰიუგოს რომანის „განკიცხულნის" პირველი გამოცემის იშვიათი ეგზემპლარი. წიგნი გამოიცა პარიზში 1862 წელს.

წიგნის დასაწყისის თავისუფალ ფურცელზე დაწებებულია გამოხუნებული ლურჯი ფერის ოთხკუთხედი ქაღალდი, რომელზედაც ვიქტორ ჰიუგოს ხელით წარწერილია:

„ბ-ნ ანრი ლეფორს. მასავით განდევნილი მისი მეგობარი ვიქტორ ჰიუგო".

როგორც ცნობილია, ვიქტორ ჰიუგო განდევნილი იყო 1852 წლიდან 1870 წლამდე. ამ პერიოდში, სახელდობრ 1862 წელს, მან დაამთავრა თავისი ცნობილი რომანი „განკიცხულნი".

ელ. ხუციშვილი.

ვიქტორ ჰიუგო ქართულ ენაზე

გარდაცვალების 55 წლისთავის გამო

22 მაისს სრულდება შესანიშნავი ფრანგი მწერლის, ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალების 55 წლისთავი.

ქართულ ენაზე ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოებთა თარგმნა და ქართულ პერიოდულ პრესაში მათი ბეჭდვა მწერლის სიცოცხლეშივე დაიწყო.

ვიქტორ ჰიუგოს ლექსების პირველი მთარგმნელია ცნობილი ქართველი დრამატურგი გიორგი ერისთავი. ჰიუგოს ლექსები, გიორგი ერისთავის მიერ თარგმნილი, ჟურნალ „ცისკარში" გამოქვეყნდა 1852 წელს.

რომანი „განკიცხულნი" საფრანგეთში გამოქვეყნდა 1862 წელს. იმავე წელს გიორგი დიდებულიძე შეუდგა მის ქართულად თარგმნას. თარგმანი იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისკარში" 1862-1865 წლებში. ეს რომანი ქართულად სთარგმნა გიორგი ჩიქოვანმაც. თარგმანის ერთი ნაწილი დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში" 1901 წელს. ამ რომანის მესამე თარგმანი ეკუთვნის ი. მაჭავარიანს და გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „მოამბეში" 1901 წელს.

ჟურნალ „მოამბეში" 1902 წელს გამოქვეყნდა ვიქტორ ჰიუგოს დრამა „ტორკვემადა"; თარგმანი ეკუთვნის კოტე მესხს.

მწერლის გარდაცვალების წელს (1885 წელს) გამოიცა ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოები „კლოდ გე", ზანგის (ფსევდონიმია) თარგმანი.

1911 წელს ბათუმში გამოვიდა წიგნი, რომელშიც მოთავსებულია ვიქტორ ჰიუგოს ლექსების ქართული თარგმანი და მისი ბიოგრაფია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემას მეტად დიდი ყურადღება ეძლევა.

1923 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა „გავროში"; რომანი „1793 წელი" (ი. მაჭავარიანის თარგმანი) გამოიცა 1927 წელს. 1936 და 1937 წელს გამოიცა რომანი „კაცი, რომელიც იცინის". პოეტებმა მ. პატარიძემ, გ. გაჩეჩილაძემ და სხვ. ქართულად სთარგმნეს ვიქტორ ჰიუგოს ლექსები; თარგმანი გამოქვეყნდა მრავალ გაზეთსა და ჟურნალში.

ვ. ჰიუგოს ნაწარმოებთა თარგმნისათვის მუშაობა გრძელდება. (საქდესი).

მუსკომედიის თეატრის გასტროლები

მუსკომედიის თეატრმა უკვე დაამთავრა თბილისში ზამთრის სეზონი. ზაფხულის განმავლობაში თეატრი მოემსახურება რაიონებს. პირველი გასტროლები დაიწყება 22 მაისს, ქუთაისში, სადაც თეატრი დარჩება 5 ივნისამდე. შემდეგ განზრახულია გასტროლების ჩატარება ტყიბულში, მაიაკოვსკში (ბაღდათში), წულუკიძეში, აბაშაში, სენაკში, ზუგდიდში, გალში, სოხუმში, სამტრედიაში, ლანჩხუთში და ბათუმში. დასავლეთ საქართველოში გასტროლები დამთავრდება 5 სექტემბერს.

7 სექტემბრიდან გასტროლების მოწყობა განზრახულია აღმოსავლეთ საქართველოში (თელავი, გურჯაანი, ყვარელი, სიღნაღი და სხვ.).

რაიონებში მოგზაურობისას თეატრის მიერ ნაჩვენები იქნება რვა საუკეთესო დადგმა: ლოპე დე ვეგას „თივა და ბაგის ძაღლი", ლაკერბაიას „ხაჯარასი", მასისა და კულიჩენკოს „აყვავებული ბაღი", ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი", ოპერეტა „ნატვრის თვალი", მოლიერის „სკაპენის ოინები", დ. კლდიაშვილის მოთხრობების ლიტერატურული მონტაჟი „აზნაურები" და მ. ჯაფარიძისა და მ. გოგიაშვილის „უჩინ-მაჩინი".

თეატრის დირექტორის ამხ. ვ. ნოდიას განცხადებით, მოგზაურობის დროს თეატრი იმუშავებს აგრეთვე მომავალი სეზონის რეპერტუარზე. მომზადდება ოპერეტა „როზ-მარი" და ლაკერბაიას ახალი მუსიკალური კომედია, რომლისათვის მუსიკას სწერს კომპ. ვ. ცაგარეიშვილი. მომავალი სეზონის გახსნა თეატრს განზრახული აქვს 15 ოქტომბერს.

„გრაფის ქვრივი" ქუთაისის თეატრში

23 მაისს ქუთაისის თეატრი მორიგ პრემიერად სდგამს ს. კლდიაშვილის კომედიას „გრაფის ქვრივს". დადგმა ეკუთვნის დ. ანთაძეს, მუსიკა—თ. ვახვახიშვილს, მხატვრობა — ვ. ცომაიას. მთავარ როლებს ასრულებენ: შ. ხონელი (პრისკა), ნ. წინამძღვარი (ჟოზეფინა), ს. ვაჩნაძე (იადვიგა), ალ. ჭავჭანიძე (მარგარიტა), თ. ციცნაძე (გრაფის ქვრივი), ქ. აბესაძე (კაზიმირი), ვ. გვენცაძე (ზუიშკა), მ. ქარცივაძე (შიშკა), ვ. კინწურაშვილი (იოზეფ), ბ. კოკელაძე (სიგიზმუნდი), ა. მამრიკიშვილი (დანილო), ვ. ნაცვლიშვილი (ოჟერო), ი. ხვიჩია (ბრონისლავი).

მორიგ პრემიერად თეატრი ამზადებს აკაკის „პატარა კახს".

საქართველოს მხატვრების მეორე ყრილობა

25 მაისს, თბილისში მოწვეულია საქართველოს საბჭოთა მხატვრების მეორე რესპუბლიკური ყრილობა, რომელზედაც მოელიან მხატვრებს საქართველოს ყველა კუთხიდან. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან აგრეთვე მხატვრები მოსკოვიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან და სამხრეთ-ოსეთიდან.

ყრილობის დღისწესრიგში 5 საკითხია: მხატვართა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება, სარევიზიო კომისიის წარმომადგენლის თანამოხსენება, სამხატვრო-საწარმოო კომბინატის საანგარიშო მოხსენება, ორდენოსანი მხატვრის, პროფ. მ. თოიძის მოხსენება—სახვითი ხელოვნების განვითარების გზების შესახებ საქართველოში და კავშირის გამგეობის ახალი შემადგენლობის არჩევნები.

ყრილობა გაიხსნება სურათების გალერიის შენობაში, საღამოს 7 საათზე.

ბავშვთა შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტში

20 მაისს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში ბავშვთა შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს ალკკ აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტების მდივნების მოხსენებანი.

ბავშვთა შემოქმედების აჭარის საოლქო ოლიმპიადაში, რომელიც 20 ივნისიდან 23 ივნისამდე გასტანს, მონაწილეობას მიიღებს 500 ბავშვი, მათ შორის ქალაქ ბათუმის 300 მოსწავლე. რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე გაიგზავნა დაახლოებით 60 ბავშვი.

აჭარელ მოსწავლეთა გამოსვლის ძირითადი თემაა საბჭოთა ბავშვების ბედნიერი ბავშვობა და სუბტროპიკული კულტურების განვითარება მზიურ აჭარაში.

საბავშვო შემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე სახვითი ხელოვნების და ნორჩ ტექნიკოსების ნამუშევართა გამოფენის დირექტორად საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა ამხ. ეპიტაშვილი (საბავშვო ტექნიკური ცენტრალური სადგურის დირექტორი).

პიონერთა და მოსწავლეთა საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესარჩევად საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა ჟიური შემდეგი შემადგენლობით: ი. აბაშიძე (თავმჯდომარე), რ. ქორქია, გ. კაჭახიძე, ი. გრიშაშვილი და ა. მაშაშვილი. (საქდესი).

პ. ი. ჩაიკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი

22 მაისს თბილისის კონსერვატორიის დარბაზში შესდგება პ. ი. ჩაიკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი კონცერტი. კონცერტში, გარდა პირველი მუსიკალური სასწავლებლის მსმენელებისა, მონაწილეობას მიიღებენ პროფ. გროსმანი, ბაბაცოვი, დოც. იაშვილი და ბარნაბიშვილი. ფორტეპიანოს პარტიას შეასრულებს ე. პოლტორაცკაია.

მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზაზე

რეგულარული საავტომობილო მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზაზე — თბილისიდან ორჯონიკიძემდე — განზრახულია დაწყებულ იქნას მაისის დამლევს. ამჟამად მთავრდება მოსამზადებელი მუშაობა.

საქავტოტრანსის ავტობუსები უკვე დადიან თბილისიდან აღბულაღამდე, ბაშკიჩეთამდე, ლუქსემბურგამდე, მანგლისსა და კოჯრამდე, საქართველოს სამხედრო გზით კი ფასანაურამდე. (საქდესი).

სასამართლო

აბორტმახერთა და მათ ხელისშემწყობთა გასამართლება

რამდენიმე ხნის წინათ მეოთხე სამილიციო განყოფილების მუშაკებმა ბრძოლის ქუჩის ახლოს ხრამში იპოვნეს ქალის გვამი. მოკლული აღმოჩნდა ვარსენიკა ჯანეზაშვილი.

კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ ალექსანდრა მიხეილის-ასულმა ცხვედიანმა თავისი ქმრის გალაქტიონ მელიტონის-ძე ცხვედიანის დახმარებით თავის საკუთარ ბინაზე არაჰიგიენურ პირობებში აბორტი გაუკეთა ვ. ჯანეზაშვილს, რომელიც იქვე გარდაიცვალა. ბოროტმოქმედება რომ დაემალათ, აბორტმახერებმა მეეტლის, ვინმე ა. ბოგდანოვის დახმარებით ქალის გვამი ღამით წაიღეს ბრძოლის ქუჩისაკენ და ხევში გადააგდეს.

23 მაისს, საღამოს 5 საათზე, თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის კლუბში (კამოს ქ. № 70) სტალინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლო ამხ. ბ. წიქვაძის თავმჯდომარეობით საჩვენებელი პროცესით გაარჩევს აბორტმახერთა საქმეს. სახელმწიფო ბრალდებას იცავს პროკურორი რ. ბახანოვი. საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოვა ექიმი გინეკოლოგი ლ. ფანიაშვილი.

მ. სურგულაძე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლ. ბერიას სახელობის რაიკომი წინადადებას აძლევს ორი დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომის პარტსტატისტიკისა და ერთიანი პარტბილეთის სექტორში ქვემოთჩამოთვლილი ამხანაგები: მუშეღ არუთინის-ძე არუთინოვი, დომენტი სოფრომის-ძე გრძელიშვილი, ვასილ გრიგოლის-ძე მაცუკატოვი, ალექსანდრე ლავრენტის-ძე მამალაძე, ალექსანდრე ხაჩატურის-ძე ფარსადანოვი, ალექსანდრე არსენის-ძე როველაძე, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე შირკუნოვი, ვლადიმერ არსენის-ძე აბაშვილი, ვაზგენ პოღოსის-ძე ბაიანდუროვი, გალინა ალექსანდრეს-ასული ჯიკაევა, ალექსანდრე ზაქარიას-ძე კორკოტაშვილი, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე კაპანაძე, ზინაიდა ლეონტის-ასული ნემსიწვერიძე, კონსტანტინე იოსების-ძე რამიშვილი, დიმიტრი გიორგის-ძე წიკლაური, გიორგი ზაქარიას-ძე ჭიორელი, გიორგი ზაქარიას-ძე პაპალაშვილი, ნიკოლოზ აპოლონის-ძე ქელიძე, ივანე ტრიფონის-ძე ბელევსკი, სტეფანე ისაკის-ძე გვილავა, არტაშ არშაკის-ძე მელიქ-აგაევი, ავეტის მაკარის-ძე სარიბეკოვი, სარქის სიმონის-ძე ათაბეგოვი, იასონ საბას-ძე ენუქიძე და იპოლიტე ხარლამპის-ძე კომახიძე.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „პიკის ქალი" (5 აბ. 13 წარმ.), **რუსთაველის** სახელობის — „გრაფის ქვრივი", **მარჯანიშვილის** სახელობის — „ყვარყვარე თუთაბერი", **მოზარდ მაყურებელთა თეატრი** — „სკაპენის ოინები", **გრიბოედოვის** სახელობის — „ინტერვენცია".

კინოებში: რუსთაველის სახ. — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **ოქტომბერი** — „მშვენიერი ვასილისა", **დამკვრელი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **კომკავშირელი** — „კენდლილიარ", **ლუქსემბურგის** სახ.—„კენდლილიარ", **26 კომ.** სახ. — „სოროჩინის ბაზრობა", **კომინტერნი** — „უკანასკნელი ნავთსადგური" (ესკადრის დაღუპვა), **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „სამშობლო", **ახალი ამბები**—„როზა და რაფაელი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი



სახელმწიფო დაზღვევა
საოჯახო ქონების დაზღვევა

თავისი საოჯახო ქონების დაზღვევა წყალდიდობისა, მიწისძვრისა, ქარიშხლისა, ნიაღვრისა, ხანძრისა და სხვა სტიქიური უბედურებისაგან საჭიროა ყოველი ოჯახისათვის. ყოველ მშრომელს შეუძლია დააზღვიოს:

საოჯახო მოწყობილობა, ტანსაცმელი, თეთრეული, საკერავი მანქანები, რადიოდანადგარები, ველოსიპედები, მოტოციკლები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ჭურჭელი, წიგნები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, სათბობის მარაგი, თივა და სხვ.

ქონების დაზღვევა შეიძლება განუსაზღვრელი თანხით ნამდვილი ღირებულების ფარგლებში სახელმწიფო და კოოპერატიული ფასების მიხედვით.

სადაზღვევო თანხის თვითეულ 1000 მანეთზე დაწესებულია გადასახადი შემდეგი რაოდენობით:

1. ქალაქებსა და მუშათა დაბებში 1 მანეთიდან 4 მანეთამდე.
2. სასოფლო რაიონულ ცენტრებსა და სააგარაკო დასახლებებში 2 მანეთიდან 4 მანეთამდე.
3. დანარჩენ სასოფლო ადგილებში 2 მანეთიდან 4 მანეთამდე.

არ დაგავიწყდეთ თქვენი ქონების დაზღვევა.

დასაზღვევად გამოიძახეთ აგენტი სახლში.

ცნობებისათვის მიმართეთ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციას საქართველოს სსრ ყველა ქალაქებსა და რაიონებში.

1039

საქართველოს სსრ სახდაზღვევის სამმართველო.

მშობლები ნოე, ჟენია სიხარულიძეები შვილით ჟანოთი იუწყებიან
პატარა ნათელას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/V 7 ს. ბატარეინის, 22. გამოსვენება 23/V 5 ს. კუკიის სასაფლაოზე.
6449

შვილები ვენერა, თინა, მავრა დოლიძეები, სიძე ამბროსი ნიკოლეიშვილი, შვილებით იუწყებიან, რომ 24/V 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
სონია დიმიტრის-ასულ ჯაყელი-დოლიძის
პანაშვიდი. 6444

მეუღლე ნატაშა, შვილები ნინო, ლევან, ბიძინა, დარეჯან, იუწყებიან, რომ 24/V 4 ს. სამტრედიაში დანიშნულია ექიმ
რაჟდენ ივანეს-ძე ნანეიშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 6450

კანდელაკი, მუსიევა, მიქაელიანი, გამრეკელი, ულენტი, ახობაძე, კუხალეიშვილი, ესაკია, მუჯირი, ჯორბენაძე, ჯიბლაძე, ნებიერიძე, ფარსადანოვა იუწყებიან
ნინო ნესტორის-ასულ ვეკუას
გარდაცვალებას. 6451

მეუღლე ცაბუ, შვილები ფეფიკო, თინა, დათიკო, რძალი თამარ, სიძეები ნ. ღოღობერიძე, ლ. კორძახია შვილებით და ლუბა კაპანაძე იუწყებიან, რომ 24/V საქარაში დანიშნულია
ვანო დავითის-ძე საყვარელიძის
პანაშვიდი. 6452

დედა ადალო, მეუღლე ნატაშა, შვილები ტოლია, შოთა, თინა, ნათელა, ბიძაშვილი იოსებ, კატუშა გაბუნიები იუწყებიან
იასონ ნესტორის-ძე გეგეჭკორის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/V ფოთში. 6443

მეუღლე ერისტო, შვილები ვალოდია, მიშა წოწელიები იუწყებიან
ნატალია ოტიას-ასულ გელოვანი-წოწელიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23/V 7 ს. გამოსვენება 24/V 4 ს. ვახუშტის, 47, კუკიის სასაფლაოზე. 6443

ვერა ხუხია, სერგო გიორგობიანი შვილით ლამარათი იუწყებიან
ქსენია სტეფანეს-ასულ ხასია-შენგელაიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 22/V 5 ს. პლეხანოვის, 5. ვაკის სასაფლაოზე. 6434

მაკრინა იაკობაშვილი შვილებით, სიძეებით, რძლებით და შვილიშვილებით იუწყება
ელპიდა ლეონტის-ასულ იაკობაშვილი-ჩიგოგიძის
გარდაცვალებას. 6435

ოდიშარია, ბილანიშვილი, მალალაშვილი, ბელიკოვი, ჩაფიძე, რატიშვილი, დვალიშვილი, ჭიჭინაძე, კაჭახიძე, მუხაშავრია, ჭიჭინაძე, ვარსიმაშვილი, სტეფანოვა, ჩიტაია, ადამია, ჯანჯალაშვილი იუწყებიან ტატიანა იაკობაშვილის დის
ელპიდას
გარდაცვალებას. 6430

მშობლები თამარ, ალექსანდრე, დები კლარა, ლილი ჩიქვანაიები იუწყებიან
პატარა ნანულის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/V 7 ს. გამოსვენება 23/V 5 ს. კახეთის ჩიხი, 5. 6454

ცოლი ბაბუცა, ძმები სინო, იასონ ცოლშვილით, დები მართა, მარიამ, სიძეები შ. სებისკვერაძე, გ. თხელიძე, გ. მაჩიტიძე, კ. მესხიშვილი შვილებით იუწყებიან
ალექსანდრე სიმონის-ძე ბუხნიკაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება რიყის, 2 ქ. ხაშურში 23/V 4 ს. 6453

ცოლი ოლღა, შვილები ტიხო, პროკოფი ცოლშვილით და გენიოსი, ქალიშვილები სარა, ლუბა, ეკატერინე ქმარშვილით იუწყებიან
სიო გლახუნის-ძე მამალაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ხევში (ჩოხატაური). 6437

ცოლი მარო ებრალიძე მასხულიასი შვილით მიშიკოთი იუწყება, რომ 24/V 1½ ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
მიშა ვასილის-ძე მასხულიას
სამოქ. პანაშვიდი. 6438

შვილები გიორგი მეუღლით ევათი, ნინო, მიტო, რძალი ანა შვილებით სესიაშვილები იუწყებიან, რომ 24/V 6 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
მარიამ თევდორეს-ასულ სესიაშვილის
პანაშვიდი. 6439

ქმარი ვასილ, შვილები დავით, შალვა, შვილიშვილები ლადო, თინა, ციალა ჟორჟოლაძეები იუწყებიან
ლიდა ლუარსაბის-ასულ ჟორჟოლაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/V 7 ს. გამოსვენება 23/V 5 ს. კლარა ცეტკინის, 102 6447

კილურაძე, ჩიკვინიძე, კუკულაძე, მახარაძე, კალანდაძე, მანუჩაროვი, კაკაბაძე, ბენაშვილი, ხონელიძე, დუმბაძე, გეგეჭკორი, კაკულია, ფორჩხიძე იუწყებიან შალვა შენგელაიას ცოლის
ქსენია შენგელაიას
გარდაცვალებას. 6440

ცოლი ბაბი, შვილები გიგა, მათე, რძალი კლარა მირიანაშვილები იუწყებიან, რომ 24/V 5½ ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
მიხეილ მათეს-ძე მირიანაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 6441

ბარბალე ნაკაშიძე შვილებით, ნინო, ფასო, მარო, მიხეილ, ვახტანგ ბერეჟიანები იუწყებიან
ელპიდა იაკობაშვილი-ჩიგოგიძის
გარდაცვალებას. 6442

დოცენტი ნინო ვეშაპელი ოჯახით და სპირიდონ ჩიქოვანი ცოლშვილით იუწყებიან მეგობრის
ელპიდა ჩიგოგიძის
გარდაცვალებას. 6926

თბილისის აღმასკომის საბინაო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ვასო წინამძღვრიშვილის შვილის
პატარა ლეილას
გარდაცვალებას. გამოსვენება 22/V 5 ს. პლეხანოვის, 172. 6436

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებები: პარტიული—3—57—61, კორესპონდენტთა და ქსელის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, [illegible] 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
მთავლიტის რწმუნებული ა—1420